


**პირობით ვადაზე
გასათავისუფლებელი
მსჯავრდებულებისთვის
რისკ-ფაქტორების შეფასების
კრიმინოლოგიური ანალიზი**



Promoting fair and effective criminal justice



მორის შალიკაშვილი

ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი,
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

დავით ჩიხლაძე

ბერლინის (გერმანია) ჰუმბოლტდის უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის მაგისტრი და ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი

**პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი
მსჯავრდებულებისთვის
რისკ-ფაქტორების შეფასების
კრიმინოლოგიური ანალიზი**

შესავალი

ადამიანის ქცევის ზუსტი პროგნოზირება წინასწარ წარმოუდგენელია და არანაირი მეცნიერული მეთოდით არის შესაძლებელი. შესაძლებელია მხოლოდ იმ ალბათობის ხარისხის შეფასება, ჩაიდენს თუ არა კონკრეტული დამნაშავე სხვა სისხლისსამართლებრივ ქმედებას.

ადამიანის სამომავლო ქმედებების პროგნოზირება კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია. დამნაშავეს აქამდე ცნობილი ბიოგრაფიისა და მისივე კრიმინალური კარიერის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, თუ როგორ მოიქცევა იგი მომავალში, განსაკუთრებით კი ის გარემოება, კვლავ ჩაიდენს თუ არა იგი სისხლის სამართლის დანაშაულს.

დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენი დამნაშავე - რეციდივისტი - სახელმწიფო მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფება, რადგან დანაშაულების ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ ამ ადამიანთა ჯგუფზე მოდის. ამავე დროს, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ ნაწილი ხდება ცნობილი. რეციდივის სისხლისსამართლებრივი კანონი და პრაქტიკა სანქციის ეტაპზე, სასჯელის დადგენის დროს იღებს მხედველობაში და სასჯელი შესაბამისად მძიმდება. ამგვარი სტრატეგიით ნათელი ხდება კრიმინალური პოლიტიკის მიზანი - ეფექტურად ებრძოლოს დანაშაულის რეციდივს და დამნაშავეებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმება ხდება იმ დროს, როცა დამნაშავეს კრიმინალური კარიერის მწვერვალი გადალახული აქვს. სწორედ ამიტომ, კრიმინალური პოლიტიკის რეციდივთან ბრძოლის ამ მეთოდით ვერ ხერხდება დამნაშავეს კრიმინალური კარიერის შეწყვეტა ან დამნაშავეს მიერ შემდგომი დანაშაულების თავიდან აცილება. დანაშაულის გრძელვადიანი პრევენცია ამ დროს ნაკლებად მიიღწევა.

პირველი თავი

კრიმინალური პროგნოზის განვითარების ისტორიული მიმოხილვა და სახეები

1923 წელს S.B. Warner-ისა და მისი კრიტიკოსის Hornell Hart-ის ნამუშევრებით კრიმინოლოგიაში ახალი კვლევითი მიმართულება - პროგნოზის კვლევა - დაიწყო. ეს საწყის ეტაპზე მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში ქცევის კრიმინალური პროგნოზით შემოიფარგლებოდა. პროგნოზის კვლევის განვითარება ისტორიულმა კონტექსტმა განაპირობა.

20-იანი წლების ამერიკის შეერთებულ შტატებში სასჯელის სახით განუსაზღვრელი ვადით თავისუფლების აღკვეთას დიდი როლი ჰქონდა. სასჯელალსრულებით დაწესებულებას კი დამნაშავეს პირობითად გათავისუფლება შეეძლო. ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო იყო იმის პროგნოზი, პირი მომავალში დანაშაულს ჩაიდენდა თუ გათავისუფლების პირობას დაიცავდა.

კრიმინალური პროგნოზის კვლევისას, ძირითადად, მრავალეპიზოდიან კვლევებს იყენებდნენ (ე.წ. Follow-up studies). პატიმართა ჯგუფის სოციალურ და ფსიქიკურ თვისებებს ადგენდნენ (ოჯახური ურთიერთობები, ნასამართლობა, სამუშაო უნარები, ინტელექტი) და მათ სასჯელალსრულებითი დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ აკვირდებოდნენ. ასეთი დაკვირვების საფუძველზე მეცნიერები ცდაში მონაწილე პირებს ჯგუფებად ყოფდნენ - არარეციდივისტებად და რეციდივისტებად. შედეგად კი ამ ჯგუფების სოციალურ და ფსიქიკურ განსხვავებებს ადგენდნენ. თვისებები, რომლებიც არარეციდივისტ ჯგუფს ხშირ შემთხვევაში ახასიათებდა, ხელსაყრელ ფაქტორებად მიიჩნეეს და ე.წ. პროგნოზის ცხრილში შეიტანეს. არახელსაყრელი ფაქტორების პროცენტული დაანგარიშების საფუძველზე პირის საშიშროება და რეციდივის ალბათობა განისაზღვრებოდა.

პროგნოზის ცხრილები პრაქტიკოს იურისტებს გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა დახმარებოდა. ამავე დროს არსებობდა სურვილი, რომ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ემოციური აღქმის საშუალებით მიიღებოდა, ობიექტურ მეცნიერულ მონაცემებს დაფუძნებულიყო. ამ კვლევების ამოსავალი წერტილი ის იყო, რომ იმას, რაც წარსულში კრიმინალურობის, დანაშაულის გამომწვევი ფაქტორი იყო, მომავალშიც იგივე ეფექტი ექნებოდა.

30-იან წლებში კრიმინალური პროგნოზის სხვადასხვა ცხრილები შეიქმნა. მათი უმრავლესობა კონკრეტული შემთხვევების ანალიზს ეყრდნობოდა. ამ თეორიების კრიტიკის ძირითად და მთავარ მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ შესაძლებელი იყო, დამნაშავის თვითდინამიკის წინასწარ განსაზღვრა კვლევის შემსრულებლის წინასწარმეტყველებაში გადაიზარდოს.

1.1. რამოდენიმე ფაქტორის შეხედულება - გლუკების კვლევა

იურისტმა შელდონ გლუკმა და პედაგოგმა ელენორ გლუკმა ჩამოაყალიბეს ე.წ. რამოდენიმე ფაქტორის შეხედულება (Mehrfaktorenansatz), რომელიც ხანგრძლივი პერიოდის ემპირიულ კვლევაზეა დაფუძნებული. შელდონ და ელენორ გლუკების კვლევა კრიმინოლოგიური პროგნოზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეცნიერულ შრომას წარმოადგენს. კვლევის ეს მეთოდი დამნაშავეობის ახსნისას არა რომელიმე კონკრეტულ თეორიაზე იზღუდება, არამედ სხვადასხვა ასპექტებს აერთიანებს და მათ მთლიანობაში აღწერს. ეს ასპექტები შეიძლება იყოს პიროვნული თვისებები, სოციალიზაციის ზეგავლენა, სწავლის პროცესი, აგრეთვე სოციალურ-სტრუქტურული კრიტერიუმები, სტიგმატიზაციის გავლენა და ა.შ.; განსხვავებები ვლინდება ამ სფეროების ერთმანეთთან კავშირში, მათი დამახასიათებელი

ფაქტორების (რისკ-ფაქტორების) გამოვლენაში კონკრეტიზაციისა და შედარების გზით.

გლუკის მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი ახალგაზრდების კრიმინალურობის მიზეზების დადგენა („Unraveling Juvenile Delinquency“) იყო.

ცდის სუბიექტს 2 ჯგუფი წარმოადგენდა: 11-იდან 17 წლამდე ასაკის 500 ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის გამო გამასწორებელ დაწესებულებაში იმყოფებოდნენ და 500 ახალგაზრდა, ასევე ქალაქოსტონიდან, რომელთაც კვლევის პერიოდში არ გააჩნდათ კრიმინალური წარსული. გლუკებმა ე.წ. „matched pairs“ მეთოდი გამოიყენეს, რაც იმას გულისხმობს, რომ კრიმინალური წარსულის მქონე თითოეული ახალგაზრდისთვის არაკრიმინალური წარსულის მქონე ახალგაზრდა მოიძებნა, რომელსაც საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, განათლების, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით მსგავსი მონაცემები გააჩნდა. ინტერდისციპლინურად დაკომპლექტებულმა გუნდმა ახალგაზრდების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციები გამოიკვლია - სკოლის ნიშნებიდან დაწყებული, ფიზიკური აღნაგობის ჩათვლით. კვლევის შეჯამებისას გლუკებმა ის ფაქტორები დაადგინეს, რომლებითაც კრიმინალური და არაკრიმინალური ახალგაზრდები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. მეორე ეტაპზე კი პროგნოზის სქემა (Prognosetafel) შექმნეს, რომელიც კრიმინალად ჩამოყალიბების შესაძლო მიზეზებს შეიცავდა.

პირველ მრავალეპიზოდთან კვლევაში დაკვირვება 15 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მას შემდეგ მასაჩუსეტსის შტატის 18-დან 30 წლამდე ასაკის პატიმრებისთვის განკუთვნილი სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან 1921-1922 წლებში პატიმრები გაათავისუფლეს. ამ ახალგაზრდა დამნაშავეების 85%-ს მანამდე სხვა დანაშაულიც ჰქონდა ჩადენილი. გათავისუფლებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში დამნაშავეე-

ბის 21,5%-ს ხელმეორედ დანაშაული არ ჩაუდენია. ეს მაჩვენებელი შემდეგი 5 წლის განმავლობაში 32%-მდე გაიზარდა. ასეთი მზარდი სტატისტიკა ცოლ-ქმარმა ცდაში მონაწილე პირთა ჩამოყალიბების პროცესით და ასაკის მატებით დაასაბუთა. 15-წლიანი დაკვირვების შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცდის მონაწილეების 32%-მა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, 29%-მა კი - ნაკლებად მძიმე დანაშაული. 15 წლის განმავლობაში მხოლოდ ყოფილი პატიმრების 33,5%-მა მოახერხა სრული რესოციალიზაცია. ცდის მონაწილეთა 5%-ს დაკვირვების 10 წლის განმავლობაში დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ ცდის მესამე ფაზაში გახდა რეციდივისტი.

მეცნიერებმა მეორე კვლევაც ჩაატარეს, რომლის დროსაც ისინი, დაახლოებით, 1000 ახალგაზრდას აკვირდებოდნენ. ახალგაზრდები მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების საქმეებზე უფლებამოსილმა ბოსტონის სასამართლომ გაასამართლა და ვალდებულნი იყვნენ, ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული დაკვირვება და შესაბამისი კურსები გაეწოდებინათ. გულუკებმა ხელმეორედ დაადგინეს, რომ დამნაშავეთა 15%-ს პირველი 5 წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია. დაკვირვების მეორე 5-წლიან ფაზაში კი ეს რაოდენობა 27%-მდე გაიზარდა. შემცირდა მძიმე დანაშაულების კვოტა - ის პირველ ფაზაში 77%-ს შეადგენდა, ხოლო მეორე ფაზაში 57% გახდა. 15 წლის შემდეგ კვლევის მონაწილეთა მესამედი, მაშინ როცა ისინი, დაახლოებით, 29 წლის ასაკის იყვნენ, საზოგადოებაში სრულად ინტეგრირდა. დამნაშავეობის კლება ახალგაზრდა პატიმართა ასაკობრივ ზრდას დაუკავშირეს.

ორივე მრავალეპიზოდური კვლევის შედეგად შეიქმნა პროგნოზის ცხრილები, რომლებიც შემდეგ ფაქტორებს შეიცავდა: **სამუშაო უნარები; ეკონომიკური პასუხისმგებლობა; ასაკი პირველი დანაშაულის ჩადენის დროს; ნასამართლობა; სუ-**

ლიერი ავადმყოფობა და ა.შ.

მესამე მრავალეპიზოდური კვლევის დროს მეცნიერები სასჯელალსრულებითი დაწესებულებიდან გათავისუფლებულ, კრიმინალური წარსულის მქონე 500 ქალს აკვირდებოდნენ. 5 წლის განმავლობაში ამ ქალების 76%-მა კვლავ ჩაიდინა დანაშაული. მეცნიერები დანაშაულში ყოველ ახალ გასამართლებას გულისხმობდნენ.

ერთ-ერთი მსგავსი ტიპის ახალი კვლევა *West*-მა ჩაატარა. მას მოჰყავს კრიმინალურობის განვითარების ალბათობის განსაკუთრებული ხარისხით მსგავსი რისკ-ფაქტორები, კერძოდ: ოჯახის დაბალი შემოსავალი; მრავალსულიანი ოჯახი; არასაკმარისი აღზრდა მშობლების მიერ (მაგ. არასაკმარისი მეთვალყურეობა ან მონაცვლეობითი აღზრდის სტილი); ბავშვის დაბალი ინტელექტი; აგრეთვე ერთ-ერთი მშობლის ნასამართლობა.

კრიმინალურად აქტიურ და არააქტიურ ახალგაზრდათა განსხვავებებს დაეყრდნო გერმანელი მეცნიერების *Stelly/Thomas*-ის 2001 წლის კვლევა. შედეგად დადგინდა სამი ფაქტორი, რომლებიც ახალგაზრდათა ჯგუფს განასხვავებდა. ესენია: ოჯახთან ემოციური კავშირი, მშობლების მიერ აღზრდის სტილი და „Monitoring“ ანუ კონტროლი, რომელიც მშობლების მიერ ბავშვების მეთვალყურეობას, დაკვირვებას მოითხოვს. კრიტიკულად ფასდება შემდეგი კონსტელაციები: „მშობლები არ ზრუნავენ ბავშვების დღის განრიგზე, მათ მიერ მოვალეობების შესრულებაზე, მათ ურთიერთობაზე თანატოლებთან. მშობლებმა ზუსტად არ იციან, სად იმყოფება ბავშვი საღამოს. ეს უკანასკნელი კი სწრაფად ავითარებს უნარს, კონტროლს გაექცეს და მშობლები და სოციალური კონტროლის სხვა ინსტიტუტები მოატყუოს“.

მრავალი ფაქტორის თეორიას მონაცემთა შეგროვების მეთოდის გამო აკრიტიკებენ. კერძოდ, არსებობს საშიშროება,

რომ ისეთი მონაცემები, რომლებიც კვლევასთან კავშირში არ არის, მასში მაინც შევიდეს და მეცნიერულად შეფასდეს, რასაც კვლევის შედეგების გადაფასებამდე მივყავართ. განსაკუთრებით პრობლემურია ე.წ. წონადი ქულების სისტემით კრიმინალურობის პოტენციური ფაქტორების შეფასება და მათი იდენტიფიცირება, როგორც დამნაშავეობის მიზეზი. მრავალი ფაქტორის მეთოდის ემპირიული ხასიათი და მეცნიერული თეორიების ნაკლებობა ამ მეთოდის გამოყენებისგან თავშეკავების მიზეზი ხდება. ხშირად აღნიშნავენ, რომ იგი დანაშაულის მიზეზებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიზეზ-ეფექტთა უბრალო მექანიზმამდე ამცირებს. მხოლოდ ფაქტორების ჩამოთვლა და გამოვლინება საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა მათი ურთიერთკავშირი. ამავე დროს საკმაოდ დიდია საშიშროება, კვლევაში გამოყენებული იყოს ისეთი მონაცემები, რომლებიც საჭირო არ არის და უმნიშვნელოა. მიუხედავად ამისა, მრავალი ფაქტორის მეთოდმა დამნაშავეობის შესახებ მნიშვნელოვანი ემპირიული ცოდნა შექმნა. სწორედ ამიტომ შეიძლება, იგი განვიხილოთ, როგორც წინა საფეხური ახალი კრიმინოლოგიური თეორიების განვითარებისთვის.

1.2. დანაშაულის გენერალური თეორია – General Theory of Crime

მრავალი ფაქტორის თეორიის გარდა, კრიმინოლოგიაში არსებობს სხვადასხვა თეორიები, რომლებიც დამნაშავეობის მიზეზებს იკვლევს. ერთ-ერთი მათგანია მულტიფაქტორული კრიმინალურობის თეორია, რომელიც კრიმინალურობის სხვადასხვა თეორიებს ერთმანეთთან აკავშირებს. აგრეთვე, ბიოსოციალური კრიმინალურობის თეორია, რომლის მიხედვითაც დამნაშავეობის დაწყების გენერალური მიზეზები არ არსებობს, შესაძლებელია მხოლოდ კრიმინალური ქცევის მიზეზების ახს-

ნა დანაშაულის მიხედვით. მაგ. სქესობრივი დანაშაულებისა და ძალადობრივი დანაშაულების მიზეზები.

Hermann-ის (2003-2008) განმარტებით, კრიმინალური ქცევა ღირებულებათა არასწორი ორიენტირების შედეგია (ე.წ. ღირებულებათა თეორია). მან თავისი ჰიპოთეზა ემპირიულად შემდეგნაირად ახსნა: „რაც უფრო მეტია მატერიალისტური ღირებულებებისკენ მიდრეკილება (ფინანსური ინტერესები), მით უფრო ნაკლებია სამართლის ნორმასთან თანხმობა და რაც უფრო ძლიერია ქრისტიანულ-რელიგიური აღზრდა, მით უფრო მეტია ნორმასთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, დამნაშავეობის პირველად პრევენციად ქრისტიანულ-რელიგიურ ღირებულებებზე ორიენტირებული აღზრდა განიხილება.

Quensel 1970 წლის სამეცნიერო ნაშრომში „როგორ ყალიბდებიან კრიმინალურებად?“¹ აგებს კრიმინალური კარიერის მოდელს, რომლის თანახმადაც, კრიმინალური განვითარება შედეგია ახალგაზრდისა და მისი სოციალური გარემოს ინტერაქციული პროცესისა სახელმწიფოს სანქციის სისტემის ზეგავლენასთან ერთად.

ავტობიოგრაფიული თეორიის წარმომადგენლები² („Life Course Theories“) შემდეგ საკითხებს იკვლევენ:

- რატომ იწყებენ ადამიანები დანაშაულის ჩადენას? (დასაწყისი);
- რატომ აგრძელებენ ისინი დელიქტების განხორციელებას? (დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა)
- რატომ ხშირდება მათ მიერ დანაშაულის ჩადენა და ის თანდათან უფრო რატომ მძიმდება? (კრიმინალურობის ზრდა);
- რატომ აღარ ჩადიან დანაშაულს? (დანაშაულზე ხელის აღება).

ამ თეორიის წარმომადგენლებისთვისაც კრიმინალური პი-

1 *Quensel*, in *KritJ* 1970, 375 ff

2 *Schneider*, *Kriminalistik* 1997, 360ff; *Jura* 1996, 399

როვნება შედეგია მისი ინტერაქციისა სოციალურ გარემოსთან. ავტობიოგრაფიული თეორიები სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპებზე სხვადასხვა მნიშვნელობებს იძენს. დამნაშავეობის განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას, მათ შორის განსაკუთრებულია საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტნიორები და სისხლისსამართლებრივი კონტროლის ინსტიტუტები. ამავე დროს, შეიძლება, ბიოგრაფიაში გარდატეხის მომენტებიც გამოვლინდეს (turning points), რომლებიც კრიმინალურობის შეწყვეტას შეუწყობს ხელს (მაგ. დამნაშავეის ქორწინება არაკრიმინალური წარსულის მქონე პირთან).

1.3. კოჰორტული კვლევები

ამ ცნების ქვეშ იგულისხმება კვლევები ადამიანთა ჯგუფებისა, რომლებიც განსაზღვრული დროის განმავლობაში ერთი და იმავე პროცესის პირობებში იმყოფებოდნენ. როგორც წესი, საუბარია ე.წ. დაბადების კოჰორტულ კვლევებზე, ანუ ერთი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები, ერთი და იგივე თაობები. შესაბამისად, კვლევის ობიექტია ერთი თაობის კრიმინალური განვითარება ხანგრძლივი დაკვირვების პროცესის პარალელურად.

კრიმინოლოგიაში კლასიკად მიჩნეული, ამ ტიპის ყველაზე ცნობილი კვლევა 1964 წლიდან ფილადელფიაში ჩაატარეს Marvin Wolfgang-მა, Figlio-მ და Sellin-მა („Philadelphia Birth Cohort-Study“).

მეცნიერებმა სასკოლო და პოლიციის აქტების საშუალებით გამოიკვლიეს 1945 წელს დაბადებული 9945 არასრულწლოვანი მამაკაცის ისტორია, რომლებიც 10 წლის ასაკიდან (კრიმინალურობის სავარაუდო დასაწყისი) 18 წლის ასაკის მიღწევამდე (1952-1963 წლებში) ფილადელფიაში ცხოვრობდნენ. შედეგები ასე გამოიყურება:

- 3475 (34,9%) მონაწილე 18 წლის ასაკის მიღწევამდე, მინიმუმ,

ერთხელ მაინც ჰყავდა პოლიციას შემჩნეული კანონთან კონფლიქტის გამო;

- დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ალბათობა ნაკლები იყო იმ პირებისგან, რომელთა წინააღმდეგ პროცესები ფორმალურ ხასიათს ატარებდა. (მაგ. გაფრთხილება, ხელწერილი);
- დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ალბათობა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო მეტი კონტაქტი იყო პოლიციასთან.
- მხოლოდ 6,3%-მა ჩაიდინა 61,7% (5305) მთლიანი დანაშაულებისა (10214 დელიქტი), რამაც მთელი კოჰორტის კრიმინალური განვითარების სტატისტიკურ მაჩვენებელზე გავლენა მოახდინა. ეს პირები იყვნენ ე.წ. ქრონიკული რეციდივისტები (chronic offenders), ისინი, ვინც დანაშაულის ჩადენაში პოლიციამ 5-ზე მეტჯერ შეამჩნია;
- რეციდივისტები, ძირითადად, „არათეთრი“ პირები იყვნენ, სკოლაში სუსტი შედეგების მქონე მოზარდები საზოგადოების სოციალურად დაბალი ფენებიდან.

კვლევის მიზანს პრევენციისა და სანქციის მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა წარმოადგენდა და ორიენტირებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ ინტერვენცია მხოლოდ ე.წ. მაღალი რისკის (high risk) ჯგუფის წარმომადგენელ ინდივიდებზე უნდა განხორციელებულიყო.

ფილადელფიის კვლევა რეტროსპექტიული ხასიათისაა, იგი მხოლოდ წარსულის მონაცემებზეა ორიენტირებული. რაც შეეხება პროსპექტიულ კვლევას, რომელიც მომავლის პროგნოზის საშუალებას გვაძლევს, ასეთი კვლევის მაგალითია Cambridge Studie. ამ კვლევის დროს ლონდონში წინასწარ შერჩეული 6 სკოლიდან 411 ახალგაზრდა მამაკაცი (დაბადების წლები 1953/54) გამოიკითხა. კვლევის მონაწილეებს პასუხი უნდა გაეცათ თავიანთ არაგამოვლენილ კრიმინალურ ქმედებებზე. ლატენტური დანაშაულის ამ კვლევას პოლიციის აქტები, პიროვნულობის ტე-

სტები და სხვა სოციალური მონაცემები დაერთო. შედეგად გამოვლინდა, რომ 17 წლის შესრულებამდე გამოკითხულთა 20,4%-ს დანაშაული, მინიმუმ, ერთხელ მაინც ჰქონდა ჩადენილი.

93 მოზარდიდან, რომლებიც ღარიბ ოჯახებში დაიბადნენ, 33,3% გახდა კრიმინალური. დანარჩენი 318-დან, რომლებიც არაღარიბი ოჯახების წევრები იყვნენ, მხოლოდ 16,7% გახდა დამნაშავე.

სიღარიბე როგორც კრიმინალოგიის გამომწვევი მიზეზი?

- 97 ახალგაზრდიდან, რომელთა ერთ-ერთი მშობელი მაინც იყო კრიმინალური წარსულის, 36,1% თავადაც გახდა დამნაშავე. დანარჩენი 314 მოზარდიდან ეს რიცხვი 15,6%-ს შეადგენდა. **(კრიმინალოგია, როგორც მოძველებული სწავლა?)**
- მასწავლებლების შეფასებით „most troublesome“ (ყველაზე პრობლემური) მოზარდებიდან 38,1% გახდა კრიმინალი, ხოლო „least troublesome“ (ნაკლებად პრობლემური) მოსწავლეებიდან - მხოლოდ 4,1%. **(სკოლაში პრობლემურ ბავშვებს ცუდი სოციალური პროგნოზი აქვთ?)**

კოჰორტული კვლევები კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში გაკრიტიკებულია, ძირითადად, ისეთი პრობლემების გამო, როგორც არის: პიროვნული და ფინანსური ხარჯები, რაც წლების განმავლობაში გრძელდება (ხარჯებისა და საჭიროების არგუმენტი); სხვადასხვა კვლევებში ლატენტური დანაშაულის გაუთვალისწინებლობა; პოლიციისა და საჯარო ორგანოების მონაცემთა არაერთიანი შეფასება, რომლებიც კვლევისთვის იქნა გამოყენებული; ვიქტიმიზაციის პრობლემების არჩართვა კვლევაში (დამნაშავისა და მსხვერპლის როლების გაუთვალისწინებლობა).

მეორე თავი

კრიმინალური პროგნოზის ცნება, მიზნები და სახეები

სოციალური კავშირი და ინტეგრაცია კრიმინალური პროგნოზისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ნახევარზე მეტმა იმ პატიმრებიდან, რომლებსაც სასჯელის მოხდის ვადაში ოჯახი ხშირად სტუმრობდა, გათავისუფლების შემდეგ 3-ჯერ უფრო მეტად დაანებეს თავი კრიმინალურ ცხოვრებას, ვიდრე იმ პატიმრებისა, რომელთაც არც ერთი ვიზიტორი არ ჰყავდათ. ამავე დროს, ორჯერ მეტია რეციდივისგან თავშეკავების რიცხვი იმ პატიმრებში, რომლებიც გათავისუფლების შემდეგ ოჯახთან ერთად ცხოვრობდნენ ან დაქორწინებულნი იყვნენ, ვიდრე იმ მსჯავრდებულებში, რომლებიც მარტო ცხოვრობენ. ასეთი კრიტერიუმები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ ნაკლებად მკაცრი ტიპის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გადაყვანის დროსაც კი ითვალისწინებენ. მაგალითად, დახურული ტიპის რეჟიმისგან განსხვავებით, ღია სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში უფრო მეტია დაქორწინებულ პატიმართა რიცხვი, რომლებსაც იქ შეუძლიათ, ინტენსიური კონტაქტი ჰქონდეთ გარესამყაროსთან. შესაბამისად, ხელსაყრელი პროგნოზით სარგებლობენ ის პატიმრები, რომლებსაც მყარი ოჯახური კავშირები, ერთი საცხოვრებელი ადგილი და პროფესიული ინტეგრაციის მაღალი შანსები აქვთ. რაც უფრო ნაკლებია მსგავსი ფაქტორები, მით უფრო მეტია დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის ხარისხი.

2.1. კრიმინალური პროგნოზის ცნება

კრიმინალური პროგნოზი კრიმინალური მოვლენებისა და პროცესების შესახებ ვარაუდის შედეგია, რომელიც ემპირიული მონაცემების ანალიზს ეფუძნება და წარსულიდან ანმყოფად და ანმყოფად მომავლამდე საზოგადოების განვითარების ტენდენციებს ითვალისწინებს. კრიმინალური პროგნოზის დროს საქმე

გვაქვს ალბათობითი ტიპის ფრაზებთან პირის სამომავლო ლეგალური ქმედების შესახებ. წარსულისა და აწმყოს კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე კრიმინალური პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. კრიმინალური პროცესების ქვეშ კი იგულისხმება დამნაშავისა და მსხვერპლის ინდივიდუალური კარიერა (კრიმინოლოგიური ინდივიდუალური პროგნოზი), აგრეთვე დამნაშავეობის განვითარება, როგორც მასობრივი პროცესი და მისი კონტროლი (კრიმინალური კოლექტიური პროგნოზი). კრიმინალური პროგნოზის საგანია კერძო ან საჯარო პირთა შესახებ გადანყვეტილების მიღებისთვის კრიმინალური ქმედების წინასწარ განსაზღვრა, კონკრეტულად კი იმის, ჩაიდენენ თუ არა ეს პირები დანაშაულს.

კრიმინალურ პოლიტიკურ პროგნოზსა და კრიმინალურ პროგნოზს შორის განსხვავება არსებობს. **კრიმინალური პოლიტიკური პროგნოზი** სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების პროგნოზს ეწოდება. სისხლის სამართლის კანონების მიღებით მოსახლეობის ქცევა შიშითა და სამართლებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენით კონტროლდება. კრიმინალური პოლიტიკური პროგნოზის დროს კანონმდებელი შედეგზეა ორიენტირებული. ასეთი პროგნოზი მიღებული კანონის წარმატებას იკვლევს. ინდივიდუალური და კოლექტიური **კრიმინალური პროგნოზი** კი კეთდება არა იმიტომ, რომ ასრულდეს, არამედ იმიტომ, რომ აცილებულ იქნეს. იგი მხოლოდ მაშინ არის წარმატებული, თუ თავად შემოიხაზება, გამართლდება. კრიმინალური პროგნოზის კვლევა თანამედროვე და აქტუალურია და იგი მთლიანად დამნაშავეზეა ორიენტირებული.

დამნაშავეობა ინდივიდუალურ და სოციალურ პროცესებში წარმოიშვება და საზოგადოებრივი მდგომარეობის მსგავსად მუდმივად იცვლება. კრიმინალური პროგნოზი განგრძობადი შემოქმედებითი აზროვნების პროცესია, რომელიც არასდროს მთავრდება და ახალი მონაცემების, პროგნოზის გაუმჯობესე-

ბის საფუძველზე მუდმივად ახლდება. შესაბამისად, ასეთი პროგნოზი 3 ფაზად იყოფა.

კრიმინალური პროგნოზის პირველ ფაზაში დამნაშავეობის განვითარება ივარაუდება. პირველადი პროგნოზის საფუძველზე პრევენციული ღონისძიებები ტარდება.

პროგნოზის მეორე ფაზაში პრევენციული ღონისძიებების შედეგები წინასწარ განისაზღვრება.

მესამე ფაზაში კი პირველადი პროგნოზი მეორე ფაზის დროს მომხდარი მოვლენის გამო სწორდება. უფრო ნათლად ფორმულირებისთვის, მაგალითად, პირველადი პროგნოზის დროს პირის რეციდივის ნაკლები რისკი ივარაუდება, რის საფუძველზეც მისი გათავისუფლება იგეგმება. პროგნოზის მეორე ფაზის დროს პირის გათავისუფლების შემდეგ პროგნოზის საგანია, კვლავ ჩაიდენს თუ არა პირი დანაშაულს. თუ მეორე ფაზაში პირი დანაშაულს არ ჩაიდენს, მაშინ პროგნოზის მესამე ეტაპზე პირველადი პროგნოზის შესწორება საჭირო არ არის. ხოლო თუ პირმა მაინც ჩაიდინა დანაშაული (მეორე ფაზის შედეგი), ეს ნიშნავს, რომ დამნაშავის მიმართ პირველადი პროგნოზი არ გამართლდა და იგი ზედმეტად ლოიალური იყო. ამავე დროს, აღსანიშნავია ის, რომ კრიმინალური პროგნოზის არსებობის მიუხედავად, შეუძლებელია მომავლის წინასწარ განსაზღვრა და შემთხვევითობის თავიდან აცილება, მას მათი შედეგების მხოლოდ შემცირება შეუძლია.

2.2. კრიმინალური პროგნოზის სახეები

კონკრეტულ პირზე დაფუძნებული **ინდივიდუალური** ტიპის შეფასება პროგნოზის ერთადერთი სახე არ არის, რომელიც კრიმინოლოგიაში არსებობს. ინდივიდუალურ პროგნოზთან ერთად, განიხილავენ **კოლექტიურ** პროგნოზსაც, რომელიც დამნაშავეობის ზოგადი განვითარების ტენდენციას განსაზღვრულ გარემოში, დროსა და მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებში

პროგნოზირებს. ასეთი კოლექტიური პროგნოზი სისხლისსამართლებრივი გადანყვეტილებებისთვის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის. ისინი უფრო პოლიტიკური გადანყვეტილებების დაგეგმვის საშუალებას წარმოადგენს (მაგ. პოლიციისა და მართლმსაჯულების პერსონალის მართვა).

ინდივიდუალური კრიმინალური პროგნოზი ვარაუდია სამომავლო დამნაშავეისა და მსხვერპლის კარიერის შესახებ. თუმცა ვიქტიმოლოგიური პროგნოზისგან განსხვავებით, დამნაშავეთა პროგნოზი კანონმდებლის ყურადღების ქვეშაა და სისხლის სამართლის კოდექსის ბევრი მუხლით არის მოწესრიგებული.

ინდივიდუალური პროგნოზი ორ სახედ იყოფა: *ადრეული პროგნოზი* და *რეციდივის პროგნოზი* (Rückfallprognose). **ადრეული პროგნოზი** იმ პირებისკენაა მიმართული, რომელთაც ჯერჯერობით დანაშაული არ ჩაუდენიათ, მაგრამ არსებობს ალბათობა, რომ ისინი ერთ დღეს დანაშაულს ჩაიდენენ. კრიმინოლოგიაში ამ მხრივ ცნობილია Sheldon და Eleanor Glueck-ების მიერ განვითარებული თეორია. მათი აზრით, იმ ახალგაზრდა მამაკაცთა იდენტიფიცირება, რომლებიც შემდგომში სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენენ, ჯერ კიდევ 6 წლის ასაკშია შესაძლებელი. იდენტიფიცირება 3 ფაქტორს ეფუძნება (დედის მხრიდან მეთვალყურეობა, დედის მიერ აღზრდის სახე, ოჯახის სიმტკიცე). ამგვარი ადრეული პროგნოზი შეიძლება, ახალგაზრდათა დახმარების პოლიტიკისთვის სამართლებრივი ღონისძიებების ინიცირების საშუალება იყოს. სისხლის სამართლისთვის იგი არ არის მნიშვნელოვანი, რადგანაც სისხლის სამართალი უკვე ჩადენილ დანაშაულზეა ორიენტირებული.

სისხლისსამართლებრივი კონტექსტისთვის უფრო მნიშვნელოვანია რეციდივის პროგნოზი. ამ დროს უნდა გაირკვეს, რამდენად შეიძლება, რომ პირმა პირველი ნასამართლობის შემდეგ სხვა დელიქტებიც განახორციელოს.

სისხლისსამართლებრივი სასჯელების სისტემა სასამართ-

ლოსგან ასეთ პროგნოზს ბევრ შემთხვევაში ითხოვს. მოსამართლემ უნდა ივარაუდოს, რამდენად კანონმორჩილი იქნება დამნაშავე მომავალში და რამდენად დარჩება მისი სამომავლო ქმედებები კანონის ფარგლებში. ზოგადად განასხვავებენ *სასჯელისა და გათავისუფლების პროგნოზებს*. **სასჯელის პროგნოზის** დროს სასამართლოს სასჯელის სახის განსაზღვრა უნევს კონკრეტულ შემთხვევაში - მაგალითად, გირაოს შეფარდების დროს, თუ ბრალდებულისგან არ არის მოსალოდნელი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, მონმეზე ზემოქმედება და ა.შ.; ანუ მოსამართლე ვალდებულია, დამნაშავეს სამომავლო ქმედებები ივარაუდოს. ასეთი ტიპის გადანყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვანია, შეფასდეს დამნაშავეს საშიშროების ხარისხი - ის, თუ რამდენად საშიშია პირი საზოგადოებისთვის. ამ პროცესს **საშიშროების პროგნოზსაც** უწოდებენ.

გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილებას, ძირითადად, შესაბამისი სასამართლო ან კომისია იღებს. გათავისუფლების დროს მოსამართლემ ან კომისიის წევრმა უნდა განსაზღვროს, მომავალში კვლავ ჩაიდენს თუ არა პირი დანაშაულს.

სასჯელისა და გათავისუფლების პროგნოზების გარდა, არსებობს აგრეთვე **გაქცევის, მიმალვის და ზენოლის მოხდენის პროგნოზი**. კრიმინალურ პროგნოზებს სისხლის სამართალში დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი განაპირობებს კანონმდებლის გადანყვეტილებას, მათი გათვალისწინებით სასჯელთა სახე ინდივიდუალურად შეირჩევა და მათი გამოყენებისას ყურადღება ქმედებების პრევენციისკენ მიიმართება.

2.3. კრიმინალური პროგნოზის მიზნები

პროგნოზის მიზანია, შეძლებისდაგვარად ზუსტად განსაზღვროს ქმედების ჩადენა ან არჩადენა. აუცილებელია სიზუსტის შეძლებისდაგვარად მაღალი ალბათობის ხარისხი, რათა არასწორად შეფასების საფრთხე მაქსიმალურად დაბალი იყოს.

კრიმინალური პროგნოზის დროს შეიძლება, 2 სახის შეცდომა წარმოიშვას:

1) პროგნოზი, რომ მომავალში დანაშაული არ განხორციელდება, შესაძლებელია, მცდარი იყოს. პირი, მის მიმართ არსებული მოლოდინის საწინააღმდეგოდ, კვლავ დამნაშავე ხდება. დამნაშავის ახალი ქმედება შეიძლება, არა მხოლოდ მსხვერპლმა აღიქვას მნიშვნელოვან ადამიანურ ტრავმად, არამედ კრიტიკის ობიექტში აქცევს ექსპერტებსაც, რომლებმაც „მცდარი“ პროგნოზი გააკეთეს და ასევე სასამართლოს, რომელმაც „მცდარი“ გადანყვეტილება დაამტკიცა. ამ ბრალდებებმა შესაძლებელია, ექსპერტისა და სასამართლოს წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდეც კი მიგვიყვანოს.

2) პროგნოზი, რომ მომავალში დანაშაული კვლავ იქნება ჩადენილი, შესაძლებელია, მცდარი აღმოჩნდეს. მოლოდინის მიუხედავად, პირი არ ჩადის ახალ დანაშაულს. ამ კონსტელაციის პრობლემა ის არის, რომ პროგნოზის არასწორი დამტკიცება, ძირითადად, ვერ ხერხდება. მიუხედავად რისკ-ფაქტორების არსებობისა, პირი არ ჩადის დანაშაულს.

ნეგატიური პროგნოზის გამო, იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ დამნაშავე დანაშაულს კვლავ ჩაიდენს, იგი პატიმრობაში რჩება და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან არ თავისუფლდება. შედეგად, პატიმრობაში მყოფი არა მარტო ფიზიკურად არის შეზღუდული შემდგომი დანაშაულების ჩასადენად, არამედ იმის შანსიც ერთმევა, რომ დანაშაული მომავალში არ ჩაიდინოს.

ამ დროს თავისუფლების დაკარგვა უსამართლოდ, არახელსაყრელად პროგნოზირებულს მნიშვნელოვან ტკივილს აყენებს (ამ შემთხვევაში მხოლოდ დამნაშავის ზარალია სახეზე). ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოება სანქციის აღსრულებისთვის ფულს იხდის. სასჯელის მოხდის ხარჯები კვლავ არსებობს, სწორი პროგნოზის დროს კი ამ ხარჯების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა.

მოსალოდნელი და ფაქტობრივი, დამდგარი შედეგის ეს კომბინაციები შესაძლებელია, ნათლად წარმოჩინდეს შემდეგ სქემაში.

„**პოზიტიურია**“ შემთხვევები, რომლის დროსაც შესაბამისი მოვლენის დადგომა (რეციდივი) პოზიტიურად იქნა პროგნოზირებული (მაღალი რისკი);

„**ნეგატიურია**“ შემთხვევები, რომლის დროსაც მოვლენის არდადგომაა პროგნოზირებული (მცირე რისკი);

„**სწორია**“ შემთხვევები, რომლის დროსაც პროგნოზი (პოზიტიური ან ნეგატიური) გამართლდა.

„**მცდარია**“ ის შემთხვევები, რომლის დროსაც პროგნოზი არ გამართლდა.

კრიმინალური პროგნოზის მიზანია, ასეთი გამართლების რიცხვი მაქსიმალურად მაღალი იყოს, ხოლო მცდარი შეფასებისა (მცდარი განგაში, ზედმეტად ლოიალური) - მაქსიმალურად ნაკლები.

სქემა #1: პროგნოზის სისწორე და პროგნოზის შეცდომები

| ფაქტობრივი შედეგი | | | |
|-----------------------|------------------------|--------------------------------------|------------------------------------|
| | | ახალი დანაშაული | ახალი დანაშაულისგან თავის შეკავება |
| პროგნოზირებული შედეგი | რეციდივის მაღალი რისკი | სწორი პოზიტიური (გამართლება) | მცდარი პოზიტიური (მცდარი განგაში) |
| | რეციდივის დაბალი რისკი | მცდარი ნეგატიური (ზედმეტად ლოიალური) | სწორი ნეგატიური (გამართლება) |

მისამართი

კრიმინალური პროგნოზის კვლევის მეთოდები

კრიმინალური პროგნოზის გარეშე კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემა ხანგრძლივ პერსპექტივაში უმოქმედოა. ამ შემთხვევაში კრიმინალური კონტროლი მხოლოდ უკვე გამოვლენილი ქმედებებისკენ იქნებოდა მიმართული. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი რეაქციული ქმედებები კი მაღალ ხარჯებს მოითხოვს და მართლმსაჯულების სისტემას თავდაცვის პოზიციაში აყენებს.

კრიმინალური პროგნოზი განსაზღვრული დროისთვისა და სივრცისთვის იქმნება. ის შეიძლება, მხოლოდ ერთი ქალაქით შემოიფარგლოს, ან მხოლოდ ქვეყნით, ან კონტინენტით – მაგ, ევროპა, საქართველო, აჭარა, ბათუმი.

კრიმინალური პროგნოზის 3 არსებით მეთოდს განასხვავებენ:

3.1. ექსტრაპოლაცია

ექსტრაპოლაცია კრიმინალური პროგნოზის ყველაზე ადვილი მეთოდია, რომლის დროსაც ძველ, წარსულის კრიმინალურ სტატისტიკურ მონაცემებს მომავალზე იყენებენ. კრიმინალური ტენდენციები, რომლებიც სტატისტიკისთვის ან ლატენტურ დანაშაულთა კვლევისთვის არის ცნობილი, კვლავ გრძელდება. ექსტრაპოლაციის მეთოდი გამომდინარეობს იმ იდეიდან, რომ საზოგადოების სისტემა სტაბილურია და ტენდენციები და ძირითადი ფაქტორები, რომლებიც წარსულში დამნაშავეობას განაპირობებდა და აწმყოში ეფექტურად მოქმედებდა, მომავალშიც იმოქმედებს, რადგან წარსული ასეთი იყო, აწმყოც ასეთი არის და, შესაბამისად, მომავალიც ასეთი დარჩება.

3.2. მოდელირებისა და სიმულაციის მეთოდი

მოდელირებისა და სიმულაციის მეთოდი დამნაშავეობას სოციალურ და დემოგრაფიულ ცვლილებებს უკავშირებს. სხვადასხვა სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორების ცვლილებების შედეგად დანაშაულთა დინამიკაც იცვლება. მომავალი არ არის მარტო წარსულისა და აწმყოს გაგრძელება. სრულიად ახალი მოვლენები და ახალი დანაშაულებიც (მაგ. კომპიუტერული დანაშაული) წინასწარ უნდა იქნეს პროგნოზირებული. წარსულის გამოცდილებას ამ შემთხვევაში შეიძლება, მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ჰქონდეს.

3.3. სისტემის ანალიზი და პროგნოზი

კრიმინალური პროგნოზის ყველაზე უფრო ხანგრძლივი და მოცულობითი მეთოდია **სისტემის ანალიზი და პროგნოზი**. ამ მეთოდით, უპირველეს ყოვლისა, დგინდება აწმყოში დამნაშავეობის განვითარების მნიშვნელოვანი დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები მოცემულ სოციალურ სისტემაში. მას შემდეგ, რაც დამნაშავეობის განვითარებაზე ამ ფაქტორების ზეგავლენა დადგინდება, მთლიანი სოციალური სისტემის სამომავლო განვითარების და დამნაშავეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების პროგნოზირება ხდება, რათა დამნაშავეობის შესაძლო სტრუქტურა, მოცულობა და განაწილება წინასწარ განისაზღვროს. ამ დროს მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მონაცემების შეგროვება და შეფასება, შობადობისა და სიკვდილიანობის დინამიკა, მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი მონაცემები, განათლების სტრუქტურა, საზოგადოებრივი სტრუქტურა და ა.შ. ეს მეთოდი აფასებს მეცნიერულ ტექნოლოგიურ განვითარებასაც, აგრეთვე მოსახლეობის გეოგრაფიულ მობილურობას, იმიგრაციასა და ემიგრაციას, უცხოელთა რაოდენობას, ტურიზმის განვითარებას.

დამნაშავეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური მონაცემები, როგორც არის: შემოსავლის ზრდა და გადანაწილება, დიდი საცხოვრებელი ხარჯები, უმუშევრობა, სამუშაო დროის შემცირება (თავისუფალი დროის სავარაუდო ზომა), სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა. საზოგადოების სოციალური დეზორგანიზაცია საზოგადოების კრიმინალურობის დონის მიმართ დიდ როლს თამაშობს. აქ გამოყოფენ დეზორგანიზაციის ისეთ ინდიკატორებს, როგორც არის ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება, განქორწინების და თვითმკვლელობის მაჩვენებლები. ეკონომიკური ცვლილებებით შეიძლება, დანაშაულებრივი მოტივაცია შეიცვალოს. ამავე დროს, სოციალური კონტროლის ზომა (პოლიციელთა რაოდენობა, პატიმართა რიცხვი) გამოვლენილი დანაშაულის რაოდენობასთან პირდაპირ კავშირშია.

3.4. დამნაშავეთა კრიმინოლოგიური პროგნოზის მეთოდები

კრიმინალური პროგნოზის მეთოდები, ძირითადად, ექსტრემალური ჯგუფების მიმართ მართლდება - იმ ადამიანების მიმართ, რომელთა შემთხვევაში მრავალი რისკ-ფაქტორი არსებობს. რაც შეეხება საშუალო ალბათობის პროგნოზებს, ანუ იმ შემთხვევებს, როდესაც პროგნოზის შემდგენი ზუსტად ვერ ამბობს, დამნაშავე ჩაიდენს თუ არა მომავალში დანაშაულს, ასეთ დროს კრიმინალური პროგნოზი სანდო არ არის და პრობლემურია. ამავე დროს, კრიმინალური პროგნოზი, ძირითადად, მიმართულია ახალ სასამართლო განაჩენზე, ანუ იუსტიციის სისტემის მიერ დანაშაულის გამოვლენაზე და არა დანაშაულის ფაქტობრივ ჩადენაზე. შედეგად, პროგნოზის კვლევის დროს იშვიათად არის ჩართული ლატენტური დანაშაული.

დამნაშავეთა კრიმინოლოგიური პროგნოზის 4 მეთოდი არსებობს:

3.4.1. ინტუიციური მეთოდი

ინტუიციური მეთოდის საფუძველზე მოსამართლე, საკუთარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით და ჯანსაღი ადამიანური შეგნების მიხედვით, სუბიექტურად აფასებს დამნაშავის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის შესაძლებლობას. ასეთ, *ბრძანების ტიპის პროცესს*, რომელიც მეცნიერულ კრიტერიუმებს, სისტემატურ და კონტროლირებად ემპირიულ მონაცემებს არ შეესაბამება, სასამართლო უმეტეს შემთხვევაში იყენებს. სხვა მხრივ ამ პროცესისთვის ძალიან დიდი ფინანსური და დროითი ხარჯი იქნებოდა საჭირო. ყოველი საქმის განხილვისას ფსიქოლოგიის და ფსიქიატრიის ექსპერტის მოწვევა წარმოუდგენელია. თავისი სუბიექტურობისა და ინტუიციური კრიმინალური პროგნოზის გამო ეს ბრძანებითი ტიპის პროცესი წინააღმდეგობაშია კონსტიტუციურ თანასწორობის პრინციპთან და ემპირიულად არ არის გარანტირებული და კონტროლირებადი. ასეთი პროგნოზები, როგორც წესი, არაპროფესიონალურ მოსაზრებებს, ყოველდღიურ გამოცდილებასა და დამნაშავეთა შესახებ ზოგად შეხედულებას ეყრდნობა.

3.4.2. კლინიკური კრიმინალური პროგნოზი

კლინიკურ კრიმინალურ პროგნოზს ფსიქიატრიის და ფსიქოლოგიის ექსპერტი ქმნის, რომელიც ეფუძნება დამნაშავის პიროვნულობის კვლევას ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტის, დაკვირვების, მისი კარიერის და სოციალური ცხოვრების (ოჯახური პირობების, პროფესიის, თავისუფალი დროის) ანალიზის საშუალებით. კლინიკური კრიმინალური პროგნოზი მიმართუ-

ლია მომავლისკენ. ფსიქიატრმა, თავისი პროფესიული ცოდნის დახმარებით, პიროვნულობის კრიმინოგენური სტრუქტურების გაცნობიერება უნდა შეძლოს. მოტივაციის ნაკლებობა, კონტროლის სისუსტე და სხვა ფაქტორები მთავარი ფენომენებია დამნაშავეთა დახასიათებისას. კლინიკური კრიმინალური პროგნოზის შესაქმნელად აუცილებელია ფსიქოპათოლოგიური გამოცდილება. მიზნობრივი წარმოდგენა ემოციებისგან, აფექტისა და ინსტიქტებისგან შედგება, რაც აზროვნებას ხელს უშლის. როგორც კი სახეზეა შემაცდენელი სიტუაცია, მიზნის ნაპერწკალი ინთება და აზროვნება ითიშება. ასეთი მდგომარეობის ობიექტი შეიძლება, ბევრი რამ იყოს - უმეთვალყურეო ნივთი სადგურში, სწრაფი ფინანსური მოგება და ა.შ.

3.4.3. სტატისტიკური კრიმინალური პროგნოზი

სტატისტიკური კრიმინალური პროგნოზი დამნაშავეთა კრიმინოლოგიური პროგნოზისთვის სტატისტიკურ ინსტრუმენტებს იყენებს. ამ მეთოდის მიხედვით სამომავლო დანაშაულების რიცხვის ალბათობა იმდენად იზრდება, რაც უფრო მეტ კრიმინალურ თვისებას აერთიანებს პირი. სახეზეა ჰიპოთეზური მეთოდი – რაც წარსულში იყო შემთხვევების დიდი რაოდენობის მიზეზი, იგივე იქნება მომავალშიც. პროგნოზის ინსტრუმენტებს **პროგნოზის ცხრილების** სახე გააჩნია და გამოყენება, როგორც ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტი. პირს დაესმება კითხვები, რომლებშიც პროგნოზის ინსტრუმენტებია ჩამოთვლილი. ქულების საშუალებით დგინდება, მიეკუთვნება თუ არა დამნაშავე რისკ-ჯგუფს. ამ ცხრილების გამოყენება ადვილია, მაგრამ ისინი შეიძლება, მხოლოდ დამხმარე საშუალებად მივიჩნიოთ. ცხრილების მექანიკური, ავტომატური გამოყენება ნებადართული არ არის. რეკომენდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად პროგნოზის მეტი ინსტრუმენტის გამოყენება, რო-

მელთა შედეგები ერთმანეთს შეავსებს და საკუთარ სიზუსტეს გაამართლებს. სტატისტიკურ ინდივიდუალურ პროგნოზს მიეკუთვნება აგრეთვე ანამნეზი, ისტორიის, აქტების წინასწარი შესწავლა, პირთან გასაუბრება, პიროვნული შთაბეჭდილება.

პროგნოზის ინსტრუმენტები არსებობს არა იმისთვის, რომ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა შეამციროს, არამედ იმისთვის, რომ მას ნორმატიული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს, შრომა შეუმსუბუქოს და ფართო სამეცნიერო-ანალიტიკური გამოცდილების კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენება შესაძლებელი გახადოს.

სტატისტიკური პროგნოზის მეთოდს პრაქტიკოსი იურისტები პროგნოზის ცხრილების საშუალებით იყენებენ. ეს ცხრილები რისკ-ჯგუფების ჩამონათვალს შეიცავს. ამ ჯგუფებისადმი მიეკუთვნება კი ამა თუ იმ გარემოებათა გამოძიებით და დადგენით და შესაბამისი პრო და კონტრაქტულების საშუალებით ხდება. ზოგადად, ორიენტირება მაინც კონტრა ნეგატიურ პუნქტებს ეყრდნობა, რაც ე.წ. წონადი ქულების შეჯამებით ხორციელდება. კრიტიკას იმსახურებს ის გარემოება, რომ ამ დროს დადებით ქულებსა და პოზიტიურ თვისებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური პროგნოზი, ძირითადად, გარე ფაქტორების აღწერით შემოიფარგლება. ასეთი პროგნოზის ცხრილი უნდა იყოს ინდივიდუალური, კონკრეტულ დანაშაულებზე მორგებული. მაგალითად, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებისთვის განკუთვნილი პროგნოზის ცხრილი არ გამოდგება ე.წ. ინტელექტუალური ტიპის დანაშაულების ან ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აღწერისთვის.

სტატისტიკური პროგნოზის ერთ-ერთ მაგალითად შესაძლებელია Meyer-ის პროგნოზის ცხრილის მოყვანა. მეთოდურად

საქმე გვაქვს მარტივ დათვლის სისტემასთან. რაც უფრო მეტი ფაქტორია სახეზე, მით უფრო მეტია რეციდივის რისკი. ეს ფაქტორებია:

1. თუნდაც ერთ-ერთი მშობლის კრიმინალურობა;
2. ერთ-ერთი მშობლის ქრონიკული ალკოჰოლიზმი;
3. ა) ბავშვი, რომელიც მშობლების გაყრის შემდეგ დედასთან იზრდება, თუ მას კვლავ არ უქორწინია;
ბ) ბავშვი, რომელიც მშობლების გაყრის შემდეგ მამასთან იზრდება, თუ მას კვლავ არ უქორწინია;
გ) დედით ობოლი ბავშვი, რომელიც მამასთან იზრდება, თუ მას კვლავ არ უქორწინია;
4. ა) სკოლაში სწავლის პერიოდში კლასში, მინიმუმ, ორჯერ ჩარჩენილი ბავშვი;
ბ) სკოლის ხშირი გამცდენი ბავშვი;
5. საშუალოდ ყოველ 4 თვეში სამუშაო ადგილის გამომცვლელი პირი;
6. აღზრდა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში (მინიმუმ 6 თვე);
7. უპატრონო ბავშვთა თავშესაფრიდან გამოგდებული ბავშვი;
8. კრიმინალობის დაწყება 15 წლის შესრულებამდე;
9. სრულწლოვანების შესრულებიდან წლიურად, მინიმუმ, 5 დანაშაული;
10. თავისუფლების აღკვეთის სასჯელის, მინიმუმ, 2-ჯერ მოხდა;
11. მინიმუმ 2-ჯერ არასრულწლოვანის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება (Jugendarrest);
12. რეციდივი ბოლო სასჯელის მოხდიდან 3 თვის განმავლობაში;

13. სრულწლოვანების შემდგომ ჩადენილი ყველა დანაშაული ან მათი, მინიმუმ, 60% ჩადენილია თანამზრახველების გარეშე;
14. დანაშაულის თანამონაწილე, რომელმაც სრულწლოვანების შესრულებიდან, საშუალოდ, 5 დანაშაულში მიიღო მონაწილეობა;
15. თაღლითობა - 21 წლის ასაკის შესრულებამდე;
16. პროსტიტუცია - 21 წლის ასაკის შესრულებამდე;
17. პოლიციის წინააღმდეგობა - 21 წლის ასაკამდე;
18. მათხოვრობა ან მომთაბარეობა - 21 წლის ასაკის შესრულებამდე;
19. ინტერლოკალური დანაშაული (ჩადენილი, მინიმუმ, 2 განსხვავებულ ადმინისტრაციულ ერთეულში);
20. მოსახდელი სასჯელის განმავლობაში (პრობაციის პირობებში) სახლის დატოვების აკრძალვა, მინიმუმ, 5-ჯერ (Hausstrafe);
21. მოზარდთა სასჯელალსრულებითი დაწესებულებიდან გამოძევებული პირი სასჯელის მოხდის დროს.

3.4.4. მთლიანი კრიმინალური პროგნოზი

მთლიანი კრიმინალური პროგნოზი კლინიკური და სტატისტიკური პროგნოზების კომბინაციაა. იგი დამოუკიდებელი მეთოდია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ისეთი საკითხების გათვალისწინება, რომლებიც წინა მეთოდებით ვერ ხერხდება. კლინიკური და სტატისტიკური პროგნოზი სტატისტიკურია, დამნაშავესა და ანმყოზე ორიენტირებული. მათ არ შეუძლიათ საზოგადოებრივი ცვლილებების, მსხვერპლის მახასიათებლების გათვალისწინება. ინდივიდუალური კრიმინოლოგიური პროგნოზისთვის, პროგნოზის ტესტისა და ახლო სოციალური წრის შესახებ მონაცემების გარდა, სხვა რამეც მნიშვნელოვანია.

შემფასებელს, რომელიც ერთიან მეთოდებს იყენებს, სოციალური და ეკონომიკური პირობების, ცვლილებების (მაგ. საზოგადოების სოციალური დეზორგანიზაციის ხარისხის) გათვალისწინება შეუძლია. ასეთი ფაქტორები პირის გათავისუფლების შემდეგ მის ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენს. შემფასებელს შეუძლია, მაგალითად, განსაზღვროს, თუ რა სოციალურ წრეში იქნება ყოფილი დამნაშავე, ვისთან ერთად იცხოვრებს მომავალში და რომელ პიროვნებებთან იქნება კონტაქტი.

ეს მეთოდი შემოქმედებითი, განგრძობადი პროცესია, რომელსაც შეუძლია, მთლიანი კრიმინალური პროგნოზის გადაწყვეტილებასთან ერთად, პრევენციის მექანიზმები შექმნას. სწორედ ამიტომ, უპირატესობა ამ მეთოდს ენიჭება, მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია კლინიკური მეთოდის პროფესიონალიზმზე, ანგლოამერიკულ სამართალში კი უფრო სტატისტიკური პროგნოზია გავრცელებული.

გლუკების ხუთი სოციალური ფაქტორის მიხედვით აგებული პროგნოზის სქემა, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცების დელიქვენტურობისთვის გამოიყენება:

| სოციალური ურთიერთობები | წონადი ქულები |
|--------------------------------------|---------------|
| 1. აღზრდა მამის მიერ: | |
| ა) ზედმეტად მკაცრი და არათანაზომიერი | 72,5 |
| ბ) უყურადღებო | 59,8 |
| გ) მყარი, მაგრამ მეგობრული | 9,3 |
| 2. დედის მეთვალყურეობა: | |
| ა) არასაკმარისი | 83,2 |
| ბ) ნაწილობრივ საკმარისი | 57,5 |
| გ) კარგი | 9,9 |

| | |
|--------------------------------------|------|
| 3. მამის დამოკიდებულება: | |
| ა) სულერთი (ინდიფერენტული) ან მტრული | 75,9 |
| ბ) თბილი (ზედმეტად ყურადღებიანი) | 33,8 |
| 4. დედის დამოკიდებულება: | |
| ა) სულერთი (ინდიფერენტული) ან მტრული | 86,2 |
| ბ) თბილი (ზედმეტად ყურადღებიანი) | 43,1 |
| 5. ოჯახის სიმტკიცე | |
| ა) დეზორგანიზირებული | 96,9 |
| ბ) ნაწილობრივ | 61,3 |
| გ) მყარი | 0,6 |

დამატებითი ცხრილი - კრიმინალურობის ალბათობა

| წონითი ქულები | კრიმინალურობის ალბათობა | არაკრიმინალურობის ალბათობა |
|-----------------|-------------------------|----------------------------|
| 200 ქულის დაბლა | 8,2 % | 91,8 % |
| 200-249 | 37,0 % | 63,0 % |
| 250-299 | 63,5 % | 36,5 % |
| 300 და ზემოთ | 89,2 % | 10,8 % |

სოციალური ურთიერთობების ქულათა ჯამი თუ 300-ს აღემატება, დანაშაულის ჩადენის ალბათობა 89,2%-ია. მაგალითად, თუ მოზარდის ცხოვრებაში მამა ზედმეტად მკაცრი და არათანაზომიერი (72,5 წონითი ქულა) და ამავე დროს ინდიფერენტულია (75,9 წონითი ქულა), დედა არასაკმარისად მეთვალყურეობს (83,2 წონითი ქულა) და თბილია (43,1 წონითი ქულა), ხოლო ოჯახი დეზორგანიზებულია (96,9 წონითი ქულა), მაშინ მოზარდს 371 წონითი ქულა უგროვდება და მის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობა 89,2%-ს შეადგენს.

3.4.5. დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენ დამნაშავეთა ტიპოლოგია

დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენ დამნაშავეთა ტიპოლოგია სამი სახისაა: უბრალო რეციდივისტი, პროფესიით დამნაშავე და საშიში, დანაშაულის სისტემატურად ჩამდენი პირი (Rückfalltäter, Berufstäter, gefährlicher Intensivtäter).

ლათენტური დანაშაულის კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანთა უმრავლესობას ცხოვრებაში, მინიმუმ, ერთხელ მაინც ჩაუდენია დანაშაული. მხოლოდ მოსახლეობის ძალიან პატარა პროცენტი ჩადის ისეთ მძიმე დანაშაულებს, როგორცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა, ქურდობა თუ თაღლითობა, და კიდევ უფრო მცირე ჯგუფის ცხოვრების განმავლობაში ხდება დანაშაულის რეციდივი. მხოლოდ პატარა ჯგუფია ქრონიკული დამნაშავეებისა, რომლებიც არათანაზომიერად დელიქტუენტურები და კრიმინალურები არიან.

კრიმინალური კარიერის შესახებ აქამდე არსებული კვლევები, როგორც აღინიშნა, ქრონიკული დამნაშავეების 3 ტიპს გამოარჩევს: უბრალო რეციდივისტი, პროფესიით დამნაშავე და საშიში ინტენსიური დამნაშავე. უბრალო, მხოლოდ შემთხვევით კრიმინალურად მოქმედი რეციდივისტები დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენთა 50%-ს შეადგენენ. ასეთი პირი საშუალოდ წელიწადში 3 დანაშაულს ჩადის, მაშინ როცა პროფესიით დამნაშავე (რეციდივიტების, დაახლოებით, 8%) წელიწადში 60-ზე მეტ დანაშაულს ჩადის. პოლიციისთვის, უბრალოდ, რეციდივისტის დანაშაულთა მხოლოდ ნაწილი ხდება ცნობილი. შემთხვევითი უბრალო რეციდივისტი თავის დანაშაულებს წინასწარ არ გეგმავს. იგი კრიმინალურ კარიერას ადრე 14-16 წლის ასაკში იწყებს,

20 წლის ასაკიდან მის მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა მკვეთრად იზრდება, 30 წლის შემდეგ კი - მცირდება. კრიმინალური კარიერის დასაწყისში დანაშაულის ჩადენის მიზეზი სხვადასხვა ფსიქიკური მოტივებია, მაგ. პრესტიჟი თანატოლების თვალში. დანაშაულების გაგრძელებისას კი უკვე ფი-

ნანსური და მატერიალური მოტივებია გადამწყვეტი. უბრალო რეციდივისტი ცოტას გამოიმუშავებს. მისი შემოსავალი კარიერის განმავლობაში არ იზრდება. მოზარდი დანაშაულების 60%-ს ალკოჰოლის და ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ ჩადის.

პროფესიით დამნაშავე, დაახლოებით, 10-ჯერ მეტ დანაშაულს ჩადის, ვიდრე შემთხვევითი რეციდივისტი, მაგრამ 5-ჯერ ნაკლებად ხვდება პატიმრობაში, გეგმავს თავის დანაშაულებს და განსაზღვრულ დელიქტებზე სპეციალიზდება. მან ისწავლა კრიმინალური ენა და კრიმინალური ცხოვრების სტილი. იგი ფიქრობს, რომ დანაშაულის ჩადენა ღირს. საკუთარ თავზე რაც უფრო კრიმინალური წარმოდგენა აქვს (Selbstbild), მით უფრო მძიმდება მისი დანაშაულები. იგი პოლიციისთვის ადრე ხდება ცნობილი და დასაწყისიდანვე მძიმე დანაშაულებს ჩადის – ძირითადად, ავტომობილის ქურდობასა და ყაჩაღობას.

საშიში ინტენსიური დამნაშავის მოქმედების არეალი რეგიონალურად არ იზღუდება. მან ისწავლა დაპატიმრებისგან თავის არიდება. ამ დამნაშავისთვის კარიერაში იშვიათი წარუმატებლობაა სასჯელალსრულებით დაწესებულებაში მოხვედრა. ორგანიზებული დამნაშავისგან იმით განსხვავდება, რომ დანაშაულებს მარტო ჩადის. მას არ უნდა, საკუთარი მოგება ვინმეს გაუყოს და ასევე სურს, დაჭერის რისკი მაქსიმალურად შეამციროს. მისი დანაშაულები თვალსაჩინო არ არის, რადგანაც ძალადობის გამოყენებას თავს არიდებს. მას მხოლოდ მატერიალური მიზნები ამოძრავებს, წარმატებულია და კარგ შემოსავალს აღწევს. გამოირჩევა ინტელექტით. დევნის განმახორციელებელი ორგანოები შემთხვევითი რეციდივისტებით ნაკლებად ინტერესდებიან, მათი სამიზნე უფრო პროფესიული და ინტენსიური დამნაშავეა. მაგრამ, ეს უკანასკნელნი ხშირ შემთხვევაში ახერხებენ, დაემალონ მართლმსაჯულებას. უბრალო დანაშაულების ჩადენა და დანაშაულისგან გამონწეული ზიანი კი თვალსაჩინოა და ამის გამო შემთხვევით რეციდივისტებს უფრო ხშირად იჭერენ.

მართვა თავი

თავისუფალი დრო, როგორც კრიმინალური პროგნოზის კრიტერიუმი

თავისუფალი დროის გატარებისას ადამიანის ქცევის მიხედვით, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კრიმინალური მომავლის ადრეული იდენტიფიცირება შეიძლება – ანუ თავისუფალი დრო შესაძლებელია, კრიმინალური პროგნოზის კრიტერიუმად ჩაითვალოს. კრიმინოლოგიაში ამ მიმართულებით მეცნიერულ კვლევებს ორ ნაწილად ყოფენ.

4.1. 1974 წლამდე არსებული მეორადი ანალიზი (Sekundär-analyse)

ემპირიული კვლევა 70-იან წლებამდე Villnow-მა და Kaiser-მა მეორადი ანალიზის სახით ჩამოაყალიბეს. დარეგისტრირებული თავისუფალი დროის გატარებისას ახალგაზრდა მამაკაც დამნაშავეთა ქმედება, ამ ანალიზის მიხედვით, შემდეგი ფაქტორებით განსხვავდება სოციალურად არაკრიმინალურ პირთა ქმედებისგან:

პირველი: კრიმინალური ახალგაზრდები თავისუფალ დროს, ძირითადად, ოჯახის გარეთ, და, ძირითადად, თანატოლებთან ატარებენ.

მეორე: კრიმინალურ ახალგაზრდებს არ აინტერესებთ თავისუფალი დროის ის აქტივობები, რომლებიც საშუალო კლასისთვის არის დამახასიათებელი. ისინი ძალიან იშვიათად არიან სპორტული გაერთიანებებისა თუ სხვა კავშირების აქტიური წევრები.

მესამე: კრიმინალური ახალგაზრდები, ძირითადად, მიმართავენ ე.წ. თავისუფალი დროის გატარების ნეგატიურ ფორმებს, ვიდრე არაკრიმინალური მოზარდები. ეს აქტივობებია: მოპედი-

სა და ავტომობილის ტარება, ხშირი ვიზიტი კინოში, მსუბუქი ლიტერატურის კითხვა, სათამაშო დანესებულებებსა და გართობის ადგილებში ხშირი ყოფნა, მიდრეკილება რაიმე სუბკულტურის წევრობისკენ.

მეოთხე: არამყარი პიროვნული კონტაქტები, აგრეთვე ადრეული სექსუალური ურთიერთობები

4.2. შემდგომი კვლევები

მეორადი ანალიზის შედეგები შემდგომში დადასტურდა ემპირიული კვლევებით (Wüstendörfer/Toman/Lösel 1976; Göppinger 1983; Lux 1993).

მოზარდები რაც უფრო ხშირად ხდებიან კრიმინალურები:

- მით უფრო იშვიათად არიან ისინი სპორტულ გაერთიანებებში გაწევრიანებულები ან აქვთ რაიმე ჰობი (უარყოფითი დამოკიდებულება თავისუფალი დროის ორგანიზებული აქტივობების მიმართ);
- მით უფრო ხშირად იმყოფებიან ისინი კლუბში და ატარებენ საკუთარ თავისუფალ დროს დაუგეგმავად ქუჩაში (თავისუფალი დროის ნეგატიური აქტივობებისკენ მიდრეკილება);

კრიმინალური ახალგაზრდები სალამოს გვიან ბრუნდებიან სახლში (Rilley, 1997, 343). თავისუფალ დროს ხშირად ატარებენ ქუჩაში (Butz et al. 1998, 352) თავისუფალი დროის გატარება ხდება სამუშაო და ძილის დროის ხარჯზე (Göppinger 1983, 91/92). ასეთი ახალგაზრდები კრიმინალურ მოზარდების უფრო მეტ რაოდენობას იცნობენ, ვიდრე ჩვეულებრივ არაკრიმინალურ პირებს (Junger-Tas, 1988, 56/57). ზოგიერთი ძალადობრივი დანაშაული გამომწვეულია ჯგუფის მონყენილობით (Opaschowski 1997, 223).

BAT თავისუფალი დროის კვლევის ინსტიტუტის გამოკითხვის თანახმად, 14-იდან 19-წლამდე ახალგაზრდების 20%-ზე მეტი შაბათ-კვირას მონყენილობას აგრესიულობით და სიბრაზით პასუხობს, რაც ვანდალიზმსა და მსხვერპლთა ტანჯვაშიც კი გამოიხატება.

ამ შედეგებიდან გამომდინარე, პრევენციული კრიმინალური პოლიტიკის მიზანია, მოზარდთა თავისუფალი დრო მაქსიმალურად შეავსოს. ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, იგეგმება კომუნიკაციის, ფსიქოლოგიური დახმარების და სხვადასხვა ღონისძიებები. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფალი დროის სწორმა დაგეგმვამ შეიძლება, გარკვეული როლი ითამაშოს დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილებაში. რესოციალიზაციის პროცესში პატიმრებს უფლება უნდა ჰქონდეთ, თავისუფალი დრო გაატარონ სპორტით, სწავლებით და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობით, აგრევე ბიბლიოთეკის გამოყენებით. საინტერესოა, რომ გერმანიის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში საკანში ტელევიზორის შეტანის შემდეგ (1999) თავისუფალი დროის აქტივობების გამოყენება შემცირდა.

4.3. კრიმინალური პროგნოზის თანამედროვე პრაქტიკა

კრიმინალური პროგნოზები აქამდე სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით დგებოდა. რეგისტრირებული რეციდივისტებისა და არარეციდივისტების ჯგუფების ერთმანეთთან შედარებით ის თვისებები დადგინდა, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებდა.

4.3.1. სქემა HCR 20

სქემა HCR 20 (Historical Clinical Risk) 1997 წელს კანადაში მეცნიერებმა *Webster*-მა და *Hart*-მა გამოაქვეყნეს. სქემა სქესობრივი და ძალადობითი დანაშაულის რეციდივის ემპირიულ კვლევას

ეყრდნობოდა და ძალადობრივი დანაშაულის პროგნოზს ისახავდა მიზნად. იგი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ეჭვი დამნაშავის ფსიქიკური დაავადების შესახებ. ამ პროცესის დროს 20 ნიშანი უნდა შეფასდეს, რომელთაგან 10 დამნაშავის “წინარე ისტორიიდან”³ (H - historical) არის, შემდეგი 5-5 ნიშანი კი “კლინიკურ მდგომარეობას”⁴ (C - clinical) და “მომავლის რისკის მენეჯმენტს”⁵ (R – Risk Management scales) მიეკუთვნება. ისტორიული ნიშანი სტატიკურია, მას ვერ შევცვლით, კლინიკური და რისკ-მაჩვენებელი კი - დინამიკური.

ყოველი Item-ი (ნიშანი) 3-პუნქტიანი სკალის საფუძველზე ფასდება, რომელზეც: 0 ნიშნავს რისკ-ფაქტორის არარსებობას; 1 - რისკ-ფაქტორის შესაძლო არსებობას ან ნაწილობრივ დადგენას; ხოლო 2-ით იგულისხმება, რომ რისკ-ფაქტორი აშკარად სახეზეა. ამ კოდების გამოსაყენებლად თითოეული ნიშნის განმარტება ისეა მოცემულია, რომ დეტალური ოპერაციონალიზმი შეგნებულად არ ხდება, რათა კლინიკოსმა საკვლევი პირის ინდივიდუალური შეფასება შეძლოს და ამ პროცესის კონკრეტული შემთხვევა მკაცრად განსაზღვრული დეფინიციებით არ შევიწროვდეს. Item-ის აღწერისას ყურადღება უფრო მის არსსა და მიზანზეა გამახვილებული, კვლევის შედეგები კი მაგალითებითა და ციტატებით ისეა გადმოცემული, რომ ამომწურავ სისრულეზე პრეტენზია არ არსებობდეს.

საბოლოო შეფასების დროს ყოველი Item-ის რაოდენობა ითვლება, ისე რომ შეიძლება, ინდივიდუალური რისკ-ფაქტორის ზომა განისაზღვროს. აქაც 3-საფეხურიანი სქემა მოქმედებს,

3 ეს სიმპტომებია: ძალადობის ადრეული გამოყენება, პირველი ძალადობრივი ქმედების დროს მცირეწლოვანება, არასტაბილური ურთიერთობები, სამუშაო სფეროში პრობლემები, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, სულიერი ავადმყოფობა.

4 აქ გამოყოფენ ისეთ ნიშნებს, როგორცაა: ნეგატიური განწყობა, აქტიური სიმპტომები, იმპულსურობა, მკურნალობის ცუდი შედეგი.

5 კრიტერიუმები: რეალიზირებული გეგმების ნაკლებობა, დესტაბილიზებული გავლენები, მხარდაჭერის ნაკლებობა, დეფიციტური *Compliance* და სტრესის გამომწვევი ფაქტორები.

რომელიც სამომავლო ძალადობრივ კრიმინალობას დაბალ, საშუალო და მაღალ დონეებად აფასებს.

ეს სქემა რეკომენდებულია კრიმინალური პროგნოზის კვლევისთვის და ფსიქოლოგიურ ტესტურ ინსტრუმენტს არ წარმოადგენს. HCR-20-ის მიხედვით, შეფასება 2 ეტაპად ხდება: პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, სახეზე არის თუ არა 20 ნიშანი (Item). ამის შემდგომ მკვლევარი თითოეული ნიშნის შედეგებს საბოლოოდ შეაფასებს და საშიშროების საბოლოო პროგნოზს დაადგენს. ამავე დროს, თითოეულ ნიშანს სხვადასხვა წონადი ქულები აქვს. შესაძლებელია და ლოგიკურიცაა, საბოლოო შეფასებამ მაღალი ძალადობის რისკი მხოლოდ ერთი ნიშნის არსებობის შემთხვევაშიც კი აჩვენოს. მაგალითად, სადისტური ფანტაზიების არსებობა მაღალი რისკ-ფაქტორია. აგრეთვე მაღალი მაჩვენებელი აქვს Item H7-ს (psychopathy). მაღალი საბოლოო რისკის არსებობისას აუცილებელი მოთხოვნაა, შეიქმნას რისკის მენეჯმენტის სტრატეგია, რაც თანამშრომელთა ინფორმირებას, სპეციალური მკურნალობის პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულებას გულისხმობს. ძალადობის საშუალო რისკის შემთხვევაში კი რეკომენდებულია, მოვლენათა სამომავლო განვითარება რეგულარულად გაკონტროლდეს ინდივიდუალური, ძალადობისგან დამცავი პროგრამების ფარგლებში. საპირისპიროდ, მიუხედავად ძალადობის მაღალი პოტენციალისა, ფიზიკური დაავადების გამო ფაქტობრივი ძალადობის რისკი შეიძლება, დაბალი იყოს.

H-ის მაჩვენებელი, მაქსიმუმ, შეიძლება, 20 ქულა იყოს, C-ს მაჩვენებელი - 10, ხოლო R-ის მაჩვენებელი - ასევე 10 ქულა. შესაბამისად, მაქსიმალური შეფასება 40 ქულას შეესაბამება. თუ საბოლოო მაჩვენებელი 20-ზე მეტია, სახეზეა მაღალი რისკი. თუ არ არსებობს ინფორმაცია კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნის არსებობის შესახებ, მაშინ ინერება 9, იგივე X.

HCR-20-ის დროს სახეზე არ არის სტანდარტიზებული პროგნოზის ინსტრუმენტი, იგი მხოლოდ ე.წ. „Checkliste“-ია.

20 ქულაზე მაღალი მაჩვენებელი მაღალ რისკს წარმოადგენს. ეს ნიშნებია (Items):

| HCR 20 | | |
|--|----------|---------|
| (Webster, Douglas, Eaves & Hart, 1997) | | |
| Historical | 10 Items | past |
| Clinical | 5 Items | present |
| Risk | 5 Items | future |
| Coding: | | |
| 0= no | | |
| 1= maybe/partly | | |
| 2= yes | | |

1. სტატისტიკური, ისტორიული ნიშნები (ანამნეზი - წარსული)

- H1 ძალადობის ადრეული გამოყენება (Previous Violence);
- H2 პირველი ძალადობრივი ქმედების დროს დამნაშავეის ასაკი (Young Age at First Violence Incident);
- H3 პარტნიორთან ურთიერთობის სტაბილურობა (Relationship Instability);
- H4 სამუშაო ურთიერთობების სტაბილურობა (Employment Problems);
- H5 ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენება (Substance Use Problems);

- H6 ფსიქოლოგიური აშლილობა (Major Mental Illness);
- H7 ფსიქოპათია (Psychopathy);
- H8 ადრეული არასწორი ადაპტაცია – (Early Maladjustment);
- H9 პიროვნული აშლილობა (Personality Disorder);
- H10 ადრეული დარღვევები ვალდებულებების შესრულებისას (Prior Supervision Failure).

2. კლინიკური ნიშნები (ანმყოფი)

- C1 შეცნობის ნაკლებობა (Lack of Insight);
- C2 ნეგატიური ენერჯია (Negative Attitudes);
- C3 აქტიური სიმპტომები (Active Syndroms of Major Mental Illness);
- C4 იმპულსურობა (Impulsivity);
- C5 არანარმატივული მკურნალობა (Unresponsive to Treatment).

3. რისკის ნიშნები (მომავალი)

- R1 განსახორციელებელი გეგმების ნაკლებობა (Plans Lack Feasibility);
- R2 დესტაბილიზაციის გავლენები (Exposure to Destabilizers);
- R3 მხარდაჭერის, დახმარების ნაკლებობა (Lack of Personal Support);
- R4 თვითკონტროლის ნაკლებობა (Noncompliance with Remediation Attempts);
- R5 სტრეს-ფაქტორები (Stress).

4.3.2. SVR-20

ეს სქემა სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის არის განკუთვნილი და HCR-20 სისტემის მსგავსია. SVR-20 (Sexual Violence Risk) 1997 წელს კანადელმა მეცნიერებმა Hart-მა და Webster-მა შექმნეს. კვლევაში გამოყენებული ნიშნები (Items)

წარმოადგენს ემპირიულად დამტკიცებულ რისკ-ფაქტორებს სექსუალური ხასიათის ძალადობითი დანაშაულებისთვის.

როგორც სახელიდან ჩანს, SVR-20 შედგება 20 ნიშნისგან, რომლებიც 3 ჯგუფად დაიყოფა. პირველი კატეგორია ფსიქო-სოციალურ ინტეგრაციას ეხება და 11 ფაქტორისგან შედგება; შემდეგი 7 ფაქტორი სექსუალური კრიმინალობის წინარე ისტორიას მოიცავს და ნაწილობრივ აქტუალურ, სახეზე არსებულ პუნქტებსაც ითვალისწინებს. მესამე ჯგუფის ფარგლებში კი 2 ფაქტორი განიხილება, რომლებიც კვლევის მონაწილის სამომავლო გეგმებს ეხება. აქაც 3-პუნქტიანი სკალა მოქმედებს. სწორედ ამ სკალით გაზომვის დროს უნდა გადამწყდეს, არსებობს თუ არა რომელიმე კონკრეტული ნიშანი. Item-ის დადასტურების შემთხვევაში კი უნდა განისაზღვროს, რა ხარისხით არის იგი მოცემული. სისრულეზე პრეტენზია არც ამ სქემას გააჩნია, სქემის გამოყენების დროს პასუხი უნდა გაცეს დამატებით რისკ-ფაქტორებსაც, როგორც არის: ქმედების სახე, სიხშირე, სიმძიმე და იმპულსურობა. საბოლოო შეფასება საშიშროების პროგნოზს იძლევა, რომელიც შეიძლება დაბალი, საშუალო ან მაღალი იყოს.

საშუალო რისკის ქვეშ იგულისხმება ამალღებული, გაძლიერებული რისკი. საშუალო რისკის საფეხურია 20 ქულა.

პროგნოზის ამ ინსტრუმენტის მიხედვითაც, თუ მაჩვენებელი 20 ქულაზე მაღალია, სახეზეა მაღალი რისკი. იგი 3 ნაწილად იყოფა: ფსიქო-სოციალური ინტეგრაცია, სექსუალური კრიმინალობა და სამომავლო გეგმები. ამ მეთოდის დროს მონმდება შემდეგი ნიშნების არსებობა:

1) ფსიქოსოციალური ინტეგრაცია (Psychosocial Adjustment)

1. სექსუალური დევიაცია (sexual deviance);
2. ბავშვთა სექსუალური ხასიათის ქმედება (victim of child abuse);

3. ფსიქოპათია (psychopathy);
4. სულიერი აშლილობა (Major mental illness);
5. ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება (Substance use problems);
6. სუიციდური აზრები (Suicidal/homicidal ideation);
7. პარტნიორული ურთიერთობების პრობლემები (Relationship problems);
8. დასაქმების პრობლემები (Employment problems);
9. არასექსუალური ხასიათის ძალადობრივი წინა დანაშაულები (Past nonsexual violent offences);
10. არაძალადობრივი წინა დელიქტები (Past nonviolent offences)
11. ადრე საპროცესო ვალდებულებების შესრულების დარღვევები (Past supervision failure).

2) სქესობრივი დანაშაულების ჩადენის ისტორია (History of Sexual Offenses)

12. დელიქტთა დიდი რაოდენობა (High density);
13. სქესობრივი დანაშაულების მრავალი ფორმა (Multiple types);
14. მსხვერპლის ფიზიკური დაზიანება (Physical harm);
15. იარაღის გამოყენება / მსხვერპლის მიმართ სიცოცხლისთვის საშიში მუქარა (Weapons/threats);
16. დელიქტების რაოდენობის ან სიმძიმის ზრდა (Escalation in frequency or severity);
17. დელიქტების ექსტრემალურად გაუფასურება ან ტყუილი (Extreme minimization/denial);
18. დელიქტის ხელშემწყობი მოსაზრებები (Attitudes that support or condone).

3) სამომავლო გეგმები (Future Plans)

19. რეალური გეგმების ნაკლებობა (Lacks realistic plans);
20. სხვა ინტერვენციების უარყოფა (Negative attitude toward intervention).

4.3.3. ფსიქოპათია

SVR-20, ისევე როგორც HCR-20, ე.წ. Hares-ს Psychopathy-ს თეორიას ეფუძნება, რომელიც სამომავლო ძალადობრივ ქმედებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს. Psychopathy არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც პიროვნულობის ანომალია. ამერიკული გაგებით Psychopathy პიროვნულობისა და ქცევის ისეთ საყურადღებო თვისებებს გულისხმობს, რომლებიც ე.წ. Psychopathy Checklist (PCL)-შია მოცემული. ამოსავალი წერტილია ის, რომ Psychopathy-ის სინდრომების დროს დისოციალური, კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებების რიცხვი მატულობს. Psychopathy-ია ამ გაგებით ემოციების გადამუშავების ბიოლოგიურად განპირობებული დეფიციტით აიხსნება, რომლის დროსაც არ არსებობს მყარი ურთიერთობების შექმნის და აგრეთვე, ნეგატიური გამოცდილებებით (მაგ. სასჯელით) სწავლის უნარი.

პირველად 1980 წელს Robert Hare-მა Psychopathy-ს შესამოწმებლად 22 ნიშანი (Items) შექმნა, რომლის მოდიფიცირებულმა ვერსიამ Psychopathy Checklist Revised (PCL-R) საყოველთაო გამოყენება ჰპოვა. ყოველ პაციენტთან ინტერვიუსთვის, მინიმუმ, 3 საათი იხარჯებოდა და შემდეგ აქტების შესწავლა იყო საჭირო – ეს პროცესი განვითარებასა და დახვეწას მოითხოვდა. Psychopathy განსაზღვრული ნიშნების საშუალებით ოპერაციონალურად დეფინირდება, რომლის დროსაც ყოველი კრიტერიუმის და მისთვის განკუთვნილი Manual-ის დაწვრილებით აღწერა ხდება. ისევე როგორც წინა ორი მეთოდის დროს, Psychopathy-ის დროსაც ეს ნიშნები საკვლევი პირის თვისებებს უნდა შეეძაროს და

3-ქულიანი სკალის მიხედვით შეფასდეს. ქულა 2 ნიშნავს იმას, რომ ნიშანი (Item) შეესაბამება პირს, ქულა 1 ნაწილობრივ თანხვედრას გულისხმობს, ხოლო 0 - ნიშნის არარსებობას.

რაშის (Rush (1812)) მიხედვით, ფსიქოპათია მოიცავს მორალური ნორმების უარყოფას, პასუხისმგებლობის არქონას, აგრესიულობას და (სხვათა მიმართ) წინდაუხედაობას. ფსიქოპათიურ პიროვნებად მოიაზრება ადამიანი, რომელიც არის ანტისოციალური ქცევის, არაადეკვატურად მოტივირებული, ნაკლები ემოციური კავშირებით, სინანულის გრძნობის არმქონე, ნაკლები ემპათიის და მაღალი ეგოიზმის მქონე.

ფსიქოპათია მჭირდო კავშირშია კრიმინალურ ქმედებასთან. ამ სიმპტომების მქონე ადამიანებში რეციდივის ჩადენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დამნაშავეებში. ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან რაც უფრო მეტია სახეზე, მით უფრო იზრდება რეციდივის ალბათობა. შემდგომში ჩამოყალიბდა ე.წ. Screening Version (PCL:SV) კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმების სწორი გამოყენებისთვის აუცილებელია ტრენინგი:

1. ზედაპირული (არ აქვს გრძნობების რეალურად განცდის უნარი, მსახიობობს, მოჩვენებითია);
2. გრანდიოზული (გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, ბაქია);
3. თაღლითური (მანიპულაციური ქმედება სხვების შეცდომაში შეყვანის მიზნით, ხშირი ტყუილი);
4. მოუნანიებლობა (საკუთარი არასწორი ქმედების შედეგების მიმართ ნაკლები თანაგრძნობა, ქმედების შედეგების მიმართ გულგრილობა);
5. ემპათიის არქონა (სხვების გრძნობების უპატივცემულობა, ცინიზმი, ეგოიზმი);
6. მოუმზადებლობა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე

ასაღებად (დასკვნების გამოტანისთვის სათანადო მომზადების არქონა);

7. იმპულსურობა (რეფლექსური ქმედება);
8. ქცევის კონტროლის ნაკლებობა (ადვილად გასალიზიანებული, აგრესიის გადაღახვის დაბალი ზღვარი);
9. არარეალური ცხოვრებისეული მიზნები (ცხოვრობს დღევანდელი დღით, ცვალებადი, არარეალური გეგმები);
10. უპასუხისმგებლო ქცევა (არალოიალურობა, არ ასრულებს დაპირებებს, საშიშროებას წარმოადგენს სხვებისთვის);
11. ანტისოციალური ქცევა გარდატეხის ასაკის დროს (მძიმე დისოციაციური ქცევა 18 წლის შესრულებამდე);
12. ანტისოციალური ქცევა მოზარდობის ასაკის დროს (შემდგომ პერიოდში მძიმე დისოციაციური ქცევა).

4.3.4. Rasch-ისა და Nedopil-ის თეორიები

პირველად გერმანულენოვან სივრცეში 80-იან წლებში გამოჩნდა კრიტერიუმების კატალოგი, რომელიც კლინიკურად დამუშავებულ რისკ-ფაქტორებს და შეფასების სხვადასხვა სახეებს მოიცავდა. ეს მეცნიერული კვლევა Schorsch-ს ეკუთვნოდა. მას შემდგომში სხვა მეცნიერთა ნაშრომები მოჰყვა, რომლებიც პრაქტიკაში იმდენად გავრცელდა, რომ უკვე აღიარებულია მათი სიზუსტე. ერთ-ერთი მათგანია Rasch-ის კვლევა, რომელიც კრიმინალური ქცევის პროგნოზს 4 ჯგუფად ჰყოფს: 1) წინარე ისტორია, 2) აქტუალური სიტუაცია, 3) უახლესი განვითარება და 4) სამომავლო პერსპექტივა.

პირველი ჯგუფის ფარგლებში საქმე ეხება დამნაშავეს კრიმინალურ ისტორიას, ქმედების გამომწვევ მიზეზებს და სიტუაციურ გარემოებებს, რომლის დროსაც მსხვერპლისა და დამნაშავეს ურთიერთობა, რეციდივისტის პიროვნება, ფსიქიკური აშლილობები და სხვა ფაქტორები უნდა გაირკვეს.

მეორე ეტაპზე მეცნიერი იკვლევს დამნაშავეს აქტუალურ, ამჟამინდელ ფსიქიკურ მდგომარეობას.

უახლესი განვითარების ეტაპს კი მიეკუთვნება ის ახალი მოვლენები, მაგ. სასჯელის მოხდისას გამოვლენილი გარემოებები, რომლებიც აქამდე არ იყო ცნობილი.

ხოლო ბოლო, მეოთხე ეტაპზე უნდა გაირკვეს პირის გათავისუფლების შემთხვევაში მისი მიმღები სოციალური გარემოს მდგომარეობა.

ამ ოთხი სფეროს დროს საქმე ეხება არა ე.წ. Checklist-ებს, არამედ თემატურ სფეროებს, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

გამოკვლეული უნდა იქნეს და არა - მარტივად შემოხაზული.

Nedopil-მა, დაახლოებით, მსგავსი სტრუქტურის მქონე სისტემა შეიმუშავა, რომლის დროსაც ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგი ეტაპები: დელიქტი, პრედელიქტური პიროვნულობა, პრედელიქტური პიროვნულობის განვითარება და მიმღები სოციალური გარემო. ისიც მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა არა კრიტერიუმების სია, არამედ შინაარსობრივი საკითხები.

Nedopil-ის რისკ-ფაქტორების ინტეგრირებული ჩამონათვალი:

I. დელიქტი

1. რეციდივის სტატისტიკური ალბათობა;
2. დელიქტისთვის სიტუაციური ფაქტორების მნიშვნელობა;
3. გარდამავალი ავადმყოფობის გავლენა;
4. პიროვნების ფსიქიკურ აშლილობასთან კავშირი;
5. მოტივაციური კავშირების აღქმა;

II. ანამნეზური მონაცემები (წინარე ისტორია)

1. ძალადობის ადრეული გამოყენება;
2. ასაკი პირველი ძალადობრივი ქმედების დროს;
3. პარტნიორული ურთიერთობების სტაბილურობა;
4. სამუშაო ურთიერთობების სტაბილურობა;
5. ალკოჰოლის / ნარკოტიკების გამოყენება;
6. ფსიქიკური აშლილობა;
7. ადაპტაციის ადრეული აშლილობა;
8. პიროვნების ფსიქიკური აშლილობა;
9. საპროცესო ვალდებულებების ადრეული დარღვევა.

III. პიროვნების პოსტდელიქტური განვითარება (კლინიკური მონაცემები)

1. ავადმყოფობასთან დამოკიდებულება და თერაპიისადმი მოტივაცია;
2. აქამდე არსებულ კრიმინალურობასთან თვითკრიტიკული დამოკიდებულება;
3. ფსიქოპათოლოგიური სურათის გაუმჯობესება;
4. პრო/ანტი-სოციალური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი;
5. ემოციური სტაბილურობა;
6. Coping (გამკლავების) უნარების განვითარება;
7. ინსტიტუციონალიზების შედეგად გამოწვეული ზიანის მიმართ წინააღმდეგობა.

IV. მიმღები სოციალური გარემო (რისკის მონაცემები)

1. სამუშაო;
2. საცხოვრებელი ადგილი;
3. სოციალური ურთიერთობები კონტროლის ფუნქციით;
4. კონტროლის ოფიციალური შესაძლებლობები;
5. მსხვერპლთან კონტაქტი;
6. რისკებთან შემხებლობა (დესტაბილიზაციის ხელშემწყობი გავლენები);
7. Compliance (თერაპიულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა);
8. სტრესფაქტორები (სტრესის გამომწვევი შესაძლო გარემოებები).

V. PCL-R (Psychopathy-Checklist-Revised) მაჩვენებელი

4.3.5. Dittmann-ის კრიტიკრიუმები

გერმანულენოვან ქვეყნებში დიდი ყურადღება მიიპყრო Dittmann-ის განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების რეციდივის რისკის კრიტიკრიუმებმა (იხ. დანართი). ამ კრიტიკრიუმების შესახებ თავად ავტორი სისრულეზე პრეტენზიის გარეშე წერს, რომ კრიტიკრიუმები შეიცავს ნიშნებს, რომლებიც პროფესიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში გამოიყენება და დამტკიცებულია. ფორმულარში შეფასების 12 პუნქტია, რომლებიც ხელსაყრელი და არახელსაყრელი პროგნოზის კრიტიკრიუმებად არის დასახელებული. კრიტიკრიუმების გამოყენების ინსტრუქციაში კი მითითებულია, რომ აუცილებელია, მიღწეულ იქნეს ინდივიდუალური პროგნოზი, რომელიც დელიქტსა და პიროვნებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული კრიტიკრიუმები ყველა შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული. კრიტიკრიუმები წმინდა მათემატიკურად არ უნდა დაანგარიშდეს, რადგანაც თითოეულ მათგანს პროგნოზისთვის განსხვავებული, არაგანსაზღვრული წონა აქვს.

სპეციალურ კომისიას ხშირად უწევს დამნაშავეთა საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრა. პროფესორმა Volker Dittmann-მა ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალური შვეიცარიის სასჯელაღსრულებითი კონკორდატის კომისიისთვის სამუშაო ინსტრუმენტი შექმნა, რომელიც განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა რეციდივის რისკს განსაზღვრავს. სია შედგება თორმეტი კრიტიკრიუმისგან, სახელდობრ:

- (1) ქმედებისადმი კრიტიკული ანალიზის უნარი;
- (2) კრიმინალურობის აქამდე არსებული განვითარება;
- (3) პიროვნება, არსებული ფსიქიკური დაავადებები;
- (4) დამნაშავის დამოკიდებულება თავისი დაავადებისა თუ ფსიქიკური აშლილობის მიმართ;
- (5) სოციალური კომპეტენცია;

- (6) სპეციფიკური კონფლიქტური ქცევა;
- (7) ქმედების კრიტიკულად შეფასების უნარი;
- (8) ზოგადი თერაპიის შესაძლებლობები;
- (9) თერაპიის რეალური შესაძლებლობები;
- (10) თერაპიისთვის მზადყოფნა;
- (11) გათავისუფლების, საპატიმრო შევბულების ან სასჯელის შემსუბუქების შემთხვევაში დამნაშავის მიმღები სოციალური სფერო;
- (12) ქმედების შემდგომი განვითარება.

ეს ინფორმაცია დამნაშავის შესახებ არსებული შემდეგი წყაროებიდან უნდა იქნეს შესწავლილი: დამნაშავის პირადი საქმე; არსებული ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნები; გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ოქმები; განაჩენები; თერაპიის შესახებ მოხსენებები; სოციალური დაწესებულებების დოკუმენტები და ა.შ., მაგრამ არსებობს კრიტიკრიუმები, როდესაც პროფესიონალთან კონსულტაციაა საჭირო. სენია: (3) დამნაშავის პიროვნება, არსებული ფსიქოლოგიური აშლილობები; (8) თერაპიის ზოგადი შესაძლებლობები; (9) თერაპიის რეალური შესაძლებლობები და (10) თერაპიისთვის მზადყოფნა. ამ კრიტიკრიუმების განსაზღვრისას ფორენზული ფსიქიატრის ცოდნა უნდა იყოს გამოყენებული.

მეხუთე თავი

პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმები

პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმების, რისკ-ფაქტორების კრიმინოლოგიური ანალიზისთვის აუცილებელია, დავადგინოთ, კონკრეტულად რომელ რისკ-ფაქტორებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების მსურველი მსჯავრდებულებისთვის.

5.1. საკანონმდებლო რეგულირება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციით „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ“,⁶ პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმები ნათელი და კონკრეტული უნდა იყოს. ასევე, ისინი უნდა იყოს რეალისტური და ითვალისწინებდეს პატიმრის პიროვნულ მახასიათებლებს, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებებს [როგორც ქვეყნის, ასევე თავად პატიმრის].

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობის და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის 151-ე ბრძანების მე-11 და მე-12 მუხლების თანახმად, ადგილობრივი საბჭო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს ხელმძღვანელობს დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით. კერძოდ, შეფასების კრიტერიუმებია:

⁶ მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე.

- ა) დანაშაულის ხასიათი – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში ჩაიდინა დანაშაული და ა.შ.;
- ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში (გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და ნახალისების ღონისძიებები) – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და ნამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული;
- გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევნი მსჯავრდებული;
- დ) ოჯახური პირობები – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვ.;
- ე) მსჯავრდებულის პიროვნება – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულებას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულება) ადმინისტრაციასთან და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

5.2. ცალკეული კრიტერიუმების კრიმინოლოგიური ანალიზი

„პიროვნების ფსიქოლოგია ადამიანს, მთელ მის მრავალფეროვნებას და განუმეორებლობას მოიცავს და ადამიანის ქცევის დიდ სირთულეს აღიარებს, ისევე როგორც იმას, რომ ადამიანები ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს და, ამასთანავე, განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ რთულ ლაბირინთში, ზოგჯერ ქაოსში, პიროვნების მკვლევარები და თეორეტიკოსები კანონზომიერებებისა და გასაგები კავშირების დადგენას ცდილობენ“.⁷

პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმები შესაძლებელია, სწორედ ლოგიკური კანონზომიერებისა და კავშირების საშუალებით ჩამოყალიბდეს. განვლილი ცხოვრების მსგავსების მიუხედავად, ადამიანთა ქცევა სხვადასხვაგვარია, ამიტომ კანონზომიერების ძიება მეტად რთულია.

პირობით ვადამდე გათავისუფლების რისკ-ფაქტორების კრიმინოლოგიური ანალიზი იმის დადგენას ემსახურება, საზოგადოება რამდენად არის განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ იმ კონკრეტული დამნაშავისგან, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება.

5.2.1. დანაშაულის ხასიათი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის 151-ე ბრძანების თანახმად, დანაშაულის ხასიათის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს: ა) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე; ბ) გარემოებებსა და ვითარებაზე, რომლის დროსაც დანაშაული იქნა ჩადენილი.

- ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე

სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი დანაშაულის კატეგორიების სიმძიმეს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალ-

⁷ ბალიაშვილი, მ., 2012. გვ. 7.

ური ვადის მიხედვით ადგენს. ამ მუხლის თანახმად, “დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) მძიმე დანაშაული; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა”.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი - თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის საშუალებით დანაშაულის სიმძიმის შეფასება - კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ვერ აკმაყოფილებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის დადგენას. სისხლის სამართლის

კოდექსის კონკრეტული მუხლის სანქცია მაღალია, თუმცა ქმედების კრიმინალური ხასიათი არ არის საშიშროების მატარებელი. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ ჯგუფურად ქურდობის ჩადენა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე და მძიმე დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ ფაქტორად მიიჩნევს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას, რის გამოც მძიმდება დანაშაულის ხასიათი. თუმცა, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მოზარდების მიერ დანაშაულთა

45-50% ჩადენილია სწორედ ჯგუფურად, ვინაიდან მათ საკუთარი მეგობრების წინაშე, მათ თვალში სურთ აღიარების მოპოვება. მათ სურთ, რომ სამეგობრო წრეში ვინმემ მოჰყვეს “მათი საქმენი საგმირონია”. ამიტომ ისინი დანაშაულს, ძირითადად, ჯგუფურად ჩადიან. ჯგუფურობა შესაძლებელია, დანაშაულის სიმძიმეს ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის დროს განაპირობებდეს (ყაჩაღობა, გაუპატიურება, სხეულის დაზიანება და ა.შ.).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით, არ შეესაბამება დანაშაულის კრიმინოლოგიურად, საზოგადოებრივი საშიშროებით დადგენილ სიმძიმეს. შესაბამისად, მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით შეფასება დანაშაულის სიმძიმეზე ნათელ სურათს ვერ მოგვცემს;

- დანაშაულის ჩადენის გარემოება და ვითარება
დანაშაულის ჩადენის გარემოების, ვითარების და პირობების შესწავლა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა კრიმინალური ენერჯის მატარებელია დამნაშავე. თუ დამნაშავემ დანაშაული წინასწარ დაგეგმა, დანაშაულის ჩადენის იარაღი მოიპოვა, მაშინ მისი კრიმინალური ენერჯია უფრო მაღალია, ვიდრე იმ ადამიანისა, რომელმაც დანაშაული სპონტანურად ან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე ჩაიდინა.

დანაშაულის ჩადენა მიწისძვრის, წყალდიდობის, სტიქიური უბედურების შემთხვევის გამოყენებით უნდა ჩაითვალოს მძიმე გარემოებად.

ამ კრიტერიუმის შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა დამნაშავე პირს დანაშაულის ჩადენის დროს დაზარალებულთან. საინტერესოა იმ საკითხის გარკვევა, მიაყენა თუ არა დამნაშავემ დაზარა-

ლებულს იმაზე მეტი ტკივილი, ვიდრე აუცილებელი იყო დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად. მნიშვნელოვანია ასევე იმის გარკვევა, დანაშაულის ჩადენის დროს მსხვერპლის მხრიდან დამნაშავის პროვოცირებას ხომ არ ჰქონდა ადგილი. ვიქტიმოლოგია (აბდელ ფატაჰის ტიპოლოგია) იცნობს დამნაშავის მსხვერპლის მიერ პროვოცირების სამ-ოთხ სახეს: დამნაშავის აქტიური პროვოკაცია; დამნაშავის პასიური პროვოკაცია; თანხმობის მქონე მსხვერპლი; თანხმობის არმქონე მსხვერპლი. მსხვერპლის მიერ დამნაშავის პროვოცირების საკითხის გარკვევამ ხელი უნდა შეუწყოს დამნაშავის კრიმინალური ენერჯის სრულყოფილად შეფასებას.

ასევე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ხომ არ იყო დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ. ადამიანის მიერ ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩადენას ხშირად განაპირობებს ალკოჰოლური თრობა. ასეთ შემთხვევაში, თუ საქმე არა გვაქვს ქრონიკულ ალკოჰოლიზმთან, შესაძლებელია, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ჩადენა მძიმე გარემოებად არ იქნეს მიჩნეული.

5.2.2. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში

მოცემული კრიტერიუმის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის ქცევას სასჯელალსრულებით დაწესებულებაში, მის მიმართ გამოყენებულ დისციპლინურ, ადმინისტრაციულ და წამახალისებელ ღონისძიებებს.

მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია საქართველოს კანონით “პატიმრობის კოდექსი” და პედაგოგიური მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული.

• **დისციპლინური ღონისძიებები და ადმინისტრაციული პატიმრობა**

პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლი შეიცავს კონკრეტულად იმ ქმედებების ჩამონათვალს, რომელთა გამოც შესაძლებელია, მსჯავრდებულს დისციპლინური ღონისძიებები დაეკისროს. აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავად არის მოცემული, მაგრამ მისი ბოლო პუნქტი სხვა ქმედებების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების საკითხი რეგულირდება “პატიმრობის კოდექსის” მე-15 თავში. პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლის მიხედვით, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შესაძლებელია, დაეკისროს ადმინისტრაციული პატიმრობა არაუმეტეს 60 დღე-ღამის ვადით.⁸

როგორც დისციპლინური სახდელი, ისე ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში. ამიტომ ამ კრიტერიუმის დროს მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სწორედ დისციპლინურ გადაცდომებზე.

პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლის ზოგიერთი ქვეპუნქტი შეიცავს ციხის პირობებისთვის თანმდევ ასპექტებს, მსჯავრდებულთა ქცევის წესებს, რომლებიც ნორმალურად უნდა ჩაითვალოს და დისციპლინურ დარღვევად კონკრეტული ქმედების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ უნდა იყოს მიჩნეული. მაგალითად, მსჯავრდებულის მიერ ერთი საკნიდან მეორე საკანში ინფორმაციის მიწოდება. ინფორმაციის გადაცემის ეს მეთოდი ნორმალურია იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც მსჯავრდებულები იმყოფებიან და აპრობირებულია მსოფლიოს და ევროპის ყველა ციხეში. დისციპლინურად უნდა ისჯებოდეს

⁸ პატიმრობის კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ქმედების მართლსაწინააღმდეგობის და პირის ბრალეულობის საკითხიც.

არა ინფორმაციის მიწოდება, არამედ საფრთხის შემცველი ინფორმაციის მიწოდება. ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საფრთხეს არ შეიცავს, დარღვევად შესაძლებელია, ღამის საათებში ჩაითვალოს.

ფვიქრობთ, პრობლემურია მე-80 მუხლის მ) ქვეპუნქტის ჩანაწერი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა: “დანესებულების დებულების, დანესებულებაში დადგენილი დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების დარღვევა”.

აღნიშნული ნორმა ძალიან ფართოდ არის ჩამოყალიბებული, ინტერპრეტაციის საშუალებას და ციხის პერსონალის მხრიდან ქმედების დისციპლინურ დარღვევად შეფასების და დისციპლინური სახდელის დაკისრების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მოცემული ნორმა დისციპლინურ პასუხისმგებლობას უნდა ითვალისწინებდეს დანესებულების დებულების, დანესებულებაში დადგენილი დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების უხეში ან არაერთჯერადი დარღვევისთვის.

პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს. დისციპლინური სახდელებია: ა) გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით; დ) ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით; ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა არაუმეტეს 6 თვის ვადით; ვ) საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა 6 თვემდე ვადით; ზ) სამართლო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით.

აღნიშნული ჩამონათვალი გაკეთებულია სახდელის სიმკაცრის მიხედვით.

კანონმდებელი ამ კრიტერიუმის განხილვის დროს ყურადღე-

ბას ამახვილებს ორ ასპექტზე - მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებათა რაოდენობასა და სახეზე.

ვფიქრობთ, დისციპლინური სახდელის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს არა სახდელების რაოდენობა ან სიმკაცრე, არამედ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. შესაძლებელია, ორი ან სამი გაფრთხილების მქონე მსჯავრდებულის არ იყოს საზოგადოებისთვის ისეთი საფრთხის შემცველი, როგორც მკაცრი დისციპლინური სახდელდადებული, ადმინისტრაციული პატიმრობამისჯილი პირი, ან პირიქით. აქაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის ხასიათი, ციხის ზოგადი უსაფრთხოების დარღვევის საშიშროება, დამრღვევის მოტივი, წამქეზებელ პირთა არსებობა, მსჯავრდებულის ურთიერთობა იმ კონკრეტულ ზედამხედველთან, რომელმაც დისციპლინური ღონისძიების გამოყენება ითხოვა და ა.შ.

• **ნახალისების ღონისძიებები**

ნახალისების ღონისძიებების ჩამონათვალი და გამოყენების წესი, ძირითადად, მოცემულია “პატიმრობის კოდექსის” 63 და 66 მუხლებში.

სასჯელალსრულების დაწესებულების მხრიდან ნახალისების ღონისძიებების გამოყენება მიჩნეულ უნდა იქნეს მსჯავრდებულის გამოსწორების ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ ნინაპირობად. თუ მსჯავრდებულის სისტემატურად ემორჩილება სასჯელალსრულების დაწესებულების შინაგანანგისით დადგენილი ნორმებს, იღებს ნახალისების ღონისძიებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდი ალბათობით, იგი პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში ასევე დაემორჩილება ციხის გარეთ დამკვიდრებულ ქცევის კანონიერ წესებს.

პრობლემურია საკითხი, როცა მსჯავრდებულის მიმართ

თანაბრად ან ზოგადად გამოყენებული იყო როგორც დისციპლინური, ისე ნახალისების ღონისძიებები. ასეთ დროს ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული ღონისძიებების თარიღს (განმსაზღვრელია, თუ რომელი ღონისძიება და რამდენჯერ იქნა გამოყენებული მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების განხილვის მომენტთან ახლო დროის მონაკვეთში) და დისციპლინური ქმედების სიმძიმეს.

5.2.3. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენა / ნასამართლობა

მოცემული კრიტერიუმების ფარგლებში უნდა გაირკვეს, მსჯავრდებულის წარსულში რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლავი.

მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის პირობით ვადამდე გათავისუფლების კონტექსტში შეფასება მეტად რთული საკითხია. პირობით ვადამდე გათავისუფლება მსჯავრდებულის მომავლისკენ არის მიმართული, ხოლო წარსულში დანაშაულის ჩადენა წარსულია, რისთვისაც მსჯავრდებულმა კონკრეტული სასჯელი უკვე მოიხადა. ამ კრიტერიუმის განხილვის დროს მხოლოდ ისეთ შემთხვევაშია შესაძლებელი წარსულში დანაშაულის ჩადენის უარყოფითად შეფასება, თუ წარსულის დანაშაულმა კიდევ შეიძლება იქონიოს გავლენა მსჯავრდებულის ქცევაზე. თუ დამნაშავემ სასჯელი მოიხადა, დაზარალებულს შეურიგდა, საკუთარ უკანონო ქმედებას მიხვდა, წარსულის დანაშაულმა მსჯავრდებულზე უარყოფითი გავლენა არ უნდა იქონიოს.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ნასამართლობა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ქარწყლდება და ამის შემდეგ აღარ მიიღება მხედველობაში სისხლისსამართლებრივი პა-

სუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების გადაწყვეტისას. გაქარწყლების გარდა, კანონმდებელი ხმარობს ასევე ტერმინს - ნასამართლობის მოხსნა. მოხსნა უფრო აქტიურ მოქმედებას გულისხმობს და არ არის დაკავშირებული დროის გასვლასთან. იმისთვის, რომ მსჯავრდებულს ნასამართლობა მოეხსნას, უფლებამოსილმა ორგანომ ამის შესახებ გადაწყვეტილება ვადამდე უნდა მიიღოს. მიუხედავად იმისა, ნასამართლობა გაქარწყლება თუ მოიხსნება, ზემოთ მითითებული შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირია — ნასამართლობა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით მხედველობაში აღარ მიიღება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 202 განჩინების თანახმად, „წინანდელი ნასამართლობა არ არის მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შემზღუდავი გარემოება“.

თუმცა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის, ნასამართლობის, როგორც რისკ-ფაქტორის შეფასების დროს საქმე არა გვაქვს სისხლისსამართლებრივი საკითხის გადაწყვეტასთან, ეს უფრო კრიმინოლოგიურ-სოციოლოგიური საკითხია, რომლის მიზანია საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეს განჩინება ნასამართლობის წმინდა სისხლისსამართლებრივ ანალიზს ახდენს. თუმცა ნასამართლობის კრიმინოლოგიური ანალიზი და მნიშვნელობა უფრო ფართოა. ნასამართლობის კრიმინოლოგიურ ანალიზს აინტერესებს, თუ რამდენად შეიძლება, წარსულის დანაშაულებრივ ქმედებას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში გარკვეული ზემოქმედება გააჩნდეს. ამიტომ პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს ნასამართლობის საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია პირის კრიმინალური ენერჯის დასადგენად.

მხოლოდ წარსულის დანაშაულის ან ნასამართლობის გამო მსჯავრდებულისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე

უარის თქმამ შესაძლებელია, მისი სტიგმატიზაცია გამოიწვიოს. სტიგმატიზაციის შემთხვევაში მსჯავრდებულის საზოგადოებაში რესოციალიზაციის შანსები საგრძნობლად მცირდება. „სტიგმა არის ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს აქტორის ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას. სტიგმა შეიძლება, ისეთი სოციალური მახასიათებელი იყოს, როგორცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია“.⁹ ნასამართლებად სტიგმატიზირებულ მსჯავრდებულს საზოგადოებაში დაბრუნება და რესოციალიზაცია უჭირს. მოცემული კრიტერიუმის განხილვისას განმხილველ პირებს სიფრთხილე მართებთ, რათა ადრე ნასამართლები მსჯავრდებულის დამნაშავედ და, შესაბამისად, საზოგადოებისთვის საშიშად სტიგმატიზაცია არ მოახდინონ. ადრე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების/ნასამართლობის გათვალისწინება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ მსჯავრდებულის პიროვნება და მის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედება მომავალში საზოგადოებრივ საშიშროებაზე გავლენას იქონიებს.

5.2.4. მსჯავრდებულის ოჯახური პირობები

მსჯავრდებულის ოჯახური პირობების შეფასების დროს კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს სამ ასპექტზე: 1) მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან; 2) ჰყავს თუ არა მას მცირეწლოვანი შვილები ან ოჯახის სხვა შრომისუნარო წევრები; და 3) როგორია მისი ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა. აღნიშნული ჩამონათვალი სრული არ არის და შესაძლებელია, პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს მხედველობაში იქნეს მიღებული სხვა გარემოებებიც, რომლებიც დადებით ან უარყოფით გავლენას მოახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

⁹ კოლუა, ე. (რედ.), 2004. გვ. 290-291.

• **მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან**

იმისათვის, რომ ოჯახის წევრებთან მსჯავრდებულის დამოკიდებულების მნიშვნელობაზე ვისაუბროთ, პირველ რიგში, აუცილებელია, გავიგოთ, რა სოციალური მოვლენაა თავად ოჯახი?

ოჯახი, როგორც ცნობიერად ორგანიზებული სტაბილური სოციალური ჯგუფი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდის ჩამოყალიბებასა და მისი ქცევის კონტროლში. ოჯახის ინსტიტუტი შესაძლებელია, შესწავლილ იქნეს, როგორც პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და სოციალურ-ჰიგიენური, ასევე სამართლებრივ-კრიმინოლოგიური კუთხით. სწორედ ეს უკანასკნელია ჩვენი შესწავლის უშუალო საგანი. ადამიანი ოჯახში უნდა სწავლობდეს სამართლებრივ (ზნეობრივ) ნორმებს, რამაც თავიდან უნდა აგვაცილოს დანაშაული.

ოჯახის წევრებთან მსჯავრდებულის დამოკიდებულების შესახებ საინტერესოა ჰირშის კონტროლის თეორია. ჰირშის თანახმად, ადამიანის სხვა ადამიანებთან (არაკრიმინალებთან) ემოციური კავშირი მისი გაკრიმინალებისგან დაცვის თვალსაზრისით ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ მსჯავრდებულის ოჯახის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ორი საკითხის გარკვევას: 1) როგორია მსჯავრდებულის მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და 2) როგორი წარსულის (კრიმინალური თუ არაკრიმინალური) მქონენი არიან თავად ოჯახის ის წევრები, რომელთანაც მსჯავრდებული მომავალში აპირებს ურთიერთობას.

მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან დამოკიდებულების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ერთი მომენტი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსჯავრდებულთა 95% მამაკაცია. ბოლო წლების კრიმინოლოგიური კვლევები ადასტურებს მამების მნიშვნელოვან როლს მოზარდის არაკრიმინალად ჩამოყალიბების საკითხში. დამნაშავე არასრულწლოვანი ბიჭების

დიდი უმრავლესობა არასრულწლოვანი ოჯახებიდან არის: ამგვარ ოჯახებში ხშირად მამები გარკვეული მიზეზების გამო არ მონაწილეობენ ბიჭების აღზრდის პროცესში. უმამოდ გაზრდა კანონდარღვევისკენ ბავშვების მიდრეკილებას აძლიერებს და მათ ძალადობის კიდევ უფრო მძაფრ სურვილს უვითარებს.

სოციოლოგი ენტონი გიდენსი მიიჩნევს, რომ მამის ყოლა აუცილებელია, თუნდაც ცუდის: „სჯობს, გყავდეს მამა, რომელიც ცუდი სამსახურიდან შინ დაბრუნდება და ტელევიზორის წინ ლუდს დალევს, ვიდრე საერთოდ არ გყავდეს იგი“.¹⁰ საზოგადოებებში, სადაც ბავშვები დედების გარემოცვაში იზრდებიან ან მამები შვილებთან ნაკლებ დროს ატარებენ, შვილები (ვაჟები, მამაკაცები) მოგვიანებით ხშირად მიმართავენ ფიზიკურ ძალადობას, ვიდრე საზოგადოებებში, სადაც მამები ბავშვებთან მეტ დროს ატარებენ. აღნიშნული, სავარაუდოდ, გამომწვეულია უმამობის ან მამის არასაკმარისი მონაწილეობის გამო თავდაჯერებულობის ნაკლებობით. სწორედ ამიტომ ცდილობენ ისინი, ზედმეტად მამაკაცურად მოიქცნენ, რასაც მათი მხრიდან ძალადობის ხშირი გამოყენება მოსდევს.

მსჯავრდებული მამების პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს გასათვალისწინებელი უნდა იყოს მისი, როგორც მამის, სოციალური როლი. იგი შესაძლოა, კარგი მამა არ იყოს, მაგრამ თავისი შვილისთვის მაინც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

• **მცირეწლოვანი შვილების ან შრომისუუნარო ოჯახის წევრების ყოლა**

პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის ოჯახში მცირეწლოვნების და შრომისუუნარო ადამიანების არსებობას. მოცემული პირობა პირდაპირ კავშირშია ოჯახის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებასთან. კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს მხო-

¹⁰ გიდენსი ე., 2011. გვ. 196.

ლოდ მცირენლოვან ან შრომისუუნარო ოჯახის წევრებზე. სამოქალაქო კოდექსის 12 მუხლის თანახმად, მცირენლოვან პირებში იგულისხმებიან 7 წლამდე ასაკის ბავშვები, შრომისუუნარო ოჯახის წევრებში კი ადამიანები, რომელთაც სხეულის ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო მუშაობა არ შეუძლიათ. საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს იმ მსჯავრდებულების საკითხი, რომლებსაც 7-18 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას არ შეიძლება, კომისია მცირენლოვნების ან შრომისუუნარობის ცნებებით შემოიფარგლოს და აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ოჯახის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა და მსჯავრდებულის როლი ოჯახის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მსჯავრდებული დედა, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის განკუთვნილი სასჯელი მოიხადა და რომელსაც მცირენლოვანი შვილ(ებ)ი ჰყავს, ავტომატურად უნდა გათავისუფლდეს. დედის და შვილის ბიოლოგიური, ემოციური მიჯაჭვულობა და კავშირი მოითხოვს, რომ მათი ერთმანეთისგან დაცილების დროის მონაკვეთი რაც შეიძლება მოკლე იყოს, რათა მისმა მცირენლოვანმა შვილმა მძიმე ფსიქიკური ტრავმა არ განიცადოს.

• **ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა**

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსჯავრდებულთა 75-80% დანაშაულის ჩადენის დროს უმუშევარია. პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებულს შესაძლოა, უმუშევრობა ელოდეს, რაც მის მატერიალურ მდგომარეობას ამძიმებს. ამიტომ ახლო ნათესავის მყარ ეკონომიკურ მდგომარეობას შეიძლება, ის უპირატესობა ჰქონდეს, რომ ახლო ნათესავი მსჯავრდებულს პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ ეკონომიკური ხასიათის პრობლემების მოგვა-

რებაში დაეხმაროს. ეს არის ახლო ნათესავის მხრიდან ერთგვარი თავდებობის მსგავსი მდგომარეობა, როცა იგი (ახლო ნათესავი) მსჯავრდებულს ეკონომიკური ხასიათის დახმარების (მუშაობის დაწყების) თავდებად დუდგება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის მიხედვით, “ახლო ნათესავი არის მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)”. პირობით ვადამდე გათავისუფლების კანონმდებლობა, თავისი მიზნიდან¹¹ გამომდინარე, ვფიქრობთ, “ახლო ნათესავის” ცნების ქვეშ ახლო ნათესავთა ფართო წრეს მოიაზრებს. ახლო ნათესავის ძირითადი დატვირთვა, კანონმდებლის თვალსაზრისით, მსჯავრდებულის დახმარებაზე მოდის. კანონმდებელი არ ზღუდავს დახმარებას, თუნდაც შორეული ახლო ნათესავის მხრიდან.

ახლო ნათესავის მატერიალური მდგომარეობის ერთ-ერთი ასპექტი შეიძლება, ოჯახის წევრის ეკონომიკური შემოსავალი იყოს. თუ მსჯავრდებულის ოჯახის წევრს მყარი ეკონომიკური შემოსავალი აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულს პირობით ვადამდე გათავისუფლების პირველ ეტაპზე არ შეექმნება ეკონომიკური ხასიათის პრობლემები.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციები „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ“, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმარს მატერიალურად შეძლებული ახლო ნათესავები არა ჰყავს, სახელმწიფოს მიუთითებს საკუთარ ვალდებულებაზე, იზრუნოს თავის მოქალაქეზე. მაგ. თუ მსჯავრდებულს არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ეს არ შეიძლება, პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის ან გადავადების საფუძველი გახდეს. სახელმწიფო ვალდებულია, ასეთი პატიმარი დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოს.

¹¹ პირობით ვადამდე გათავისუფლების კანონმდებლობის მიზანია, დაიცვას საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ხელი შეუწყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

5.2.5. მსჯავრდებულის პიროვნება

აღნიშნული კრიტერიუმი პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს მეტად მნიშვნელოვანია. ყველა ზემოთ აღწერილი და გაანალიზებული კრიტერიუმი არაპირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულთან და მისი სოციალური ან საქციელის შეფასებას ეხება. მსჯავრდებულის პიროვნების დროს კი საუბარია მსჯავრდებულის პირად დამოკიდებულებაზე, როგორც დანაშაულთან, ასევე ციხის ადმინისტრაციასთან, მსჯავრდებულებთან, მის აგრესიულობის დონეზე და ა.შ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

• მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანაშაულთან

მსჯავრდებულის დანაშაულისადმი დამოკიდებულებით უნდა გაირკვეს, თუ როგორ აფასებს მსჯავრდებული საზოგადოებისთვის საშიშ თავის საქციელს. თუ იგი ჩადენილ დანაშაულს გულწრფელად ინანიებს და მზად არის, ამაზე მორალური პასუხისმგებლობა (მაგ. დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა წერილობით ან ზეპირად) აიღოს, მაშინ არსებობს იმის ალბათობა, რომ მან საზოგადოებრივი წესრიგი აღარ დაარღვიოს.

მსჯავრდებულის დანაშაულისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დამოკიდებულება დაზარალებულთან. რას და როგორ ფიქრობს დამნაშავე დაზარალებულის შესახებ? თუ დამნაშავე ფიქრობს, რომ დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის მიზეზით, “ბრალეულობით” მოხდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ჩადენილ დანაშაულს შინაგანი რწმენით არ ინანიებს და მისი მიზანი მხოლოდ პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის შეცდომაში შეყვანაა.

პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს მნიშვნელოვანია დამნაშავეს და დაზარალებულის ურთიერთობის გარკვევა. პირობით ვადამდე გათავისუფლებით ხელი არ უნდა შეეწყოს შურისძიების ნიადაგზე ახალი დანაშაულის ჩადენას. ამიტომ

პირობით ვადამდე გათავისუფლებამდე აუცილებელია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გაანალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

• მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანესებულების ადმინისტრაციასთან

მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანესებულების ადმინისტრაციასთან ახლოს დგას ზემოთ განხილულ, დისციპლინური და წახალისების ღონისძიებების საკითხთან. თუ მსჯავრდებული დანესებულების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობს, დანესებულების ნორმებს ემორჩილება, მაშინ მის მიერ ზოგადსამართლებრივი ნორმების დაცვის ალბათობა პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს იზრდება. ხოლო თუ მსჯავრდებული დანესებულების ადმინისტრაციას, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს, ისე უყურებს, დიდია იმის ალბათობა, რომ მან ციხის პირობებში რესოციალიზაცია ვერ შეძლოს.

• მსჯავრდებულის დამოკიდებულება სხვა მსჯავრდებულებთან

პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს საინტერესოა ასევე იმის გარკვევა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა პატიმარს თანამესაკნეებთან და ვინ იყვნენ მისი მეგობრები ციხეში. სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობის გარკვევით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ როგორი სოციალური ურთიერთობების კომპეტენციები გააჩნია მსჯავრდებულს. რაც შეეხება იმის გარკვევას, თუ ვინ იყვნენ მისი მეგობრები, ამით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ როგორია მისი კრიმინალური ენერჯის დონე. თუ მას ურთიერთობა აქვს მაღალი კრიმინალური ენერჯის მქონე სხვა მსჯავრდებულებთან და მათი ზეგავლენის ქვეშ ექცევა, ან ციხის კრიმინალურ სუბკულტურას ეკუთვნის, ან სხვა პატიმრე-

ბს ჩაგრავს, მაშინ, ვფიქრობთ, განმეორებითი დანაშაულის რისკი იზრდება.

• **მსჯავრდებულის აგრესიულობა**

ციხეს, როგორც ტოტალურ ინსტიტუციას, მსჯავრდებულისთვის გარკვეული პრობლემები და სტრესი ყოველთვის თან ახლავს. ამას ემატება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელთა მეტად მკაცრი და ხისტი სისტემა, რის გამოც მსჯავრდებულთა, დაახლოებით, 60 პროცენტს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მომტანი არ არის. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, განვითარებული ევროპული სახელმწიფოების კრიმინოლოგია აღიარებს, რომ მსუბუქი ხასიათის სასჯელს უფრო შეუძლია პიროვნების ქცევის გაუმჯობესება, ვიდრე მკაცრი სახის სასჯელს, ვინაიდან გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება, მსჯავრდებულში ფრუსტრაციის გამომწვევ მიზეზად მოგვევლინოს, რაც ხელს უშლის მის (საზოგადოებაში) რესოციალიზაციას.

ფრუსტრაცია და მომავლისადმი იმედგაცრუება იმის გამო, რომ შეიძლება, ცხოვრების საუკეთესო წლები ციხეში გაატაროს, მსჯავრდებულს აგრესიას ჰგვრის (ფრუსტრაცია - აგრესიის თეორია), რაც ართულებს მის ურთიერთობას ციხის პერსონალთან და/ან სხვა მსჯავრდებულებთან.

მსჯავრდებულში აგრესიულობის არსებობა კულტურაში აღიარებული ურთიერთობების ფარგლებში უნდა შეფასდეს.

აგრესიული ქცევის კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას ანტი-აგრესიულობის ტრენინგი წარმოადგენს, რომლის ციხის პირობებში განხორციელება ხელს შეუწყობს მსჯავრდებულში აგრესიული ქცევის კონტროლს.

• **მსჯავრდებულის პიროვნების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები**

პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მსჯავრდებულის პიროვნების სხვა ისეთი საკითხები, რომლებსაც შეიძლება, მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეთ საზოგადოების უსაფრთხოებისა და პატიმრისადმი ჰუმანურად მოპყრობისთვის. ასეთი საკითხებია/კრიტერიუმებია: პროფესიული უნარ-ჩვევების ქონა, სქესი, ასაკი, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა.

✓ **პროფესიული უნარ-ჩვევების ქონა**

პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მსჯავრდებულის პროფესიული უნარ-ჩვევების საკითხი. თუ მსჯავრდებულს ციხემდე გააჩნდა ან ციხეში ისწავლა გარკვეული პროფესია, რომლითაც იგი სამუშაოს დაწყებას შეძლებს, მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი შესაძლებელია, დადებითად გადაწყდეს.

✓ **მსჯავრდებულის სქესი**

ქალი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული:

- 1) კავალერობის პრინციპი;
- 2) დედის როლი.

კავალერობის პრინციპი გულისხმობს, რომ ქალბატონები რაც შეიძლება მოკლევადიან სასჯელს უნდა იხდიდნენ და უფრო მალე ტოვებდნენ ციხეს. საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ქალები ნაკლებად არიან კრიმინალურები, შესაბამისად მამაკაცები ციხეში მოხვედრილ ქალებს, “კავალერობის პრინციპიდან” გამომდინარე, უფრო ადრე ათავისუფლებენ. ისინი ქალში ხედავენ პატივსაცემ, სუსტ და უსუსურ ობიექტს,

დედას, დას, რომელიც არ შეიძლება, ციხის მკაცრ პირობებში დიდი ხნით გაჩერდეს.

სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენების მიხედვით, „პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 17 მარტის სხდომის ოქმის თანახმად, არ დაკმაყოფილდა ქალთა და არასრულწლოვანთა 5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების მსჯავრდებულის, წარსულში ნასამართლობის არმქონის, 1969 წელს დაბადებულის, ქმარშვილიანი – 5 შვილის დედის, ხათუნა ს.–ს შუამდგომლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ადმინისტრაცია ახასიათებდა დადებითად და ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაული.“ ვფიქრობთ, ქალი მსჯავრდებულების მიმართ ასეთი სახის არაჰუმანური მიდგომები წარსულს უნდა ჩაბარდეს და დამოკიდებულება უფრო ჰუმანური და ადამიანის მომავალზე ორიენტირებული გახდეს.

✓ მსჯავრდებულის ასაკი

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ასევე აუცილებელია მსჯავრდებულის ასაკის გათვალისწინება. მსჯავრდებულები შესაძლებელია, ასაკის მიხედვით სამ ჯგუფად დავეყოთ: 1) არასრულწლოვნები და ახალგაზრდა მსჯავრდებულები (14-24 წლები); 2) ახალგაზრდა და შუახნის მამაკაცები (25-65 წლები) და 3) მოხუცი მსჯავრდებულები. პირველი და მეორე ასაკის ჯგუფის მამაკაცების მიმართ სწორედ ასაკის გამო შესაძლებელია, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი დადებითად გადაწყდეს, რადგან: ა) არასრულწლოვნები და ახალგაზრდა მსჯავრდებულები საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში არიან და რაც უფრო ადრე განყვეტენ კონტაქტს კრიმინალური ენერჯის მატარებელ მსჯავრდებულებ-

თან, მით უფრო დიდია მათი რესოციალიზაციის შანსი; ბ) მოხუც მსჯავრდებულებს ესაჭიროებათ ჰიგიენის განსაკუთრებული პირობები, რაც ციხის პირობებში ხშირად ძნელი უზრუნველსაყოფია. ამიტომ მოხუცი მსჯავრდებულების ჯანმრთელობის პრობლემების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია მათი პირობით ვადამდე გათავისუფლება.

სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში ვკითხულობთ: „მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმების შესწავლისას აღმოჩნდა აგრეთვე, რომ მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2006 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე არ იქნა დაკმაყოფილებული 1936 წელს დაბადებული (70 წლის) 7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მსჯავრდებულის შუამდგომლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას მოხდელი ჰქონდა სასჯელის 3/4. მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითადი მოტივი იყო წარსულში ნასამართლობა.“

✓ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ციხის პირობებში მსჯავრდებულის აქტიურობას და სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობას საკუთარი თავისუფალი ნებით. ასეთი პროგრამები შეიძლება ნარკომანიის, ალკოჰოლის ან აგრესიული ქცევის კონტროლს ეხებოდეს.

✓ მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ასევე თავისუფლების აღკვეთის ვადას. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის პირობებში მსჯავრდებულზე ჯერ კიდევ არა აქვს ან ნაკლები ზეგავლენა

აქვს ციხის კრიმინალური ცხოვრების წესებს. მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის პირობებში არსებობს საშიშროება, რომ ციხის კრიმინალური ცხოვრების წესებმა მსჯავრდებულზე ზეგავლენა იქონიოს და იგი ამ წესებით ისე მოიხიბლოს, რომ გათავისუფლების შემთხვევაში კრიმინალური ცხოვრების მიმდევრად დარჩეს და კრიმინალურ წესებს იცავდეს.

✓ **სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულები**

სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაწესებულების სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა და მის მიერ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება უნდა იყოს იმის წინაპირობა, რომ მსჯავრდებული პირობით ვადამდე გათავისუფლდეს. დაწესებულების ძირითადი მიზანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციაა, რაც შრომისადმი მსჯავრდებულის დამოკიდებულებით მონმდება .

დასკვნა

რისკ-ფაქტორების განსაზღვრა სასჯელალსრულებითი დაწესებულებების ყოველდღიურ საქმიანობას მიეკუთვნება. ამავე დროს, დამნაშავეების მიმართ კრიმინალური პროგნოზის კვლევაზე უარის თქმა არ შეიძლება. ეს თანამედროვეა და აქტუალური. მისი გამოყენებლობა დაუშვებელია თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ კრიმინალურ პროგნოზს სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს. იგი სასჯელის ზომის განსაზღვრისას აუცილებელი ელემენტია და სასჯელის ინდივიდუალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს. ამავე დროს, კრიმინალური პროგნოზის მიხედვით გადაწყვეტილების მიმღები პირები ვალდებულნი არიან, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ფაქტები გადაამოწმონ და გააანალიზონ. ეს პროცესი კი მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ახალი თეორიების განვითარების და გამოყენების საფუძველია. პატიმრისთვის გასაგები უნდა იყოს ის კრიტერიუმები, რომლებიც პირობით ვადამდე მის გათავისუფლებას ხელს შეუწყობს. სამართლებრივი უსაფრთხოების იდეა მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისთვის, მით უფრო იმ პირისთვის, ვისაც საზოგადოებისა და მისი ნორმებისადმი ნდობა დაკარგული აქვს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციით „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ“, პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს პატიმარი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმორჩილი მოქალაქის მინიმალურ მოთხოვნებს. შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან, დაამტკიცონ, რომ პატიმარი ამ მინიმალურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და ის საზოგადოებას საფრთხეს შეუქმნის.

მნიშვნელოვანია ასევე ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა - დანაშაულთან ბრძოლა კომპლექსური ღონისძიებაა. შესაბამისად, უნდა არსებობდეს დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი გეგმა, რომელსაც შეასრულებენ და გა-

ნახორციელებენ სახელმწიფო სტრუქტურები. მიზანშეწონილია, თუ პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭო გაითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ მდგომარეობას, პრევენციულ ღონისძიებებს, სისხლის სამართლის პოლიტიკას და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ.

დაბოლოს, არავითარ კრიტერიუმს არ შეუძლია იმის პროგნოზირება, რომ ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს. ადამიანი იმდენად კომპლექსური არსებაა, რომ შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ როგორ მოიქცევა იგი. ყველაფერთან ერთად, არსებობს სიტუაციური ფაქტორები, რომლებიც მორალურ, ფსიქიკურად განონასწორებულ ადამიანს მოძალადედ და დამნაშავედ აქცევს (იხ. ზიმბარდოს ციხის ექსპერიმენტი).

გამოყენებული ლიტერატურა

Bock, M.

Kriminologie für Studium und Praxis, 3. Auflage, München 2007

Calliess, R-P./Müller-Dietz, H.

Straffollzugsgesetz. Kommentar. München 2000.

Eisenberg, U.

Kriminologie, 6. Auflage, München 2005

Göppinger, H.

Kriminologie, 6. Auflage. München 2008.

Kaiser, G.

Kiminologie, 3. Auflage, 1996 Heidelberg

Kaiser, G./Schöch, H.

Kriminologie, Jugendstrafrech, Strafvollzug, 7. Auflage München 2010

Kaiser, G./Schöch, H.

Kriminologie, Jugendsrafrech, Srafvollzug, 7. Auflage München 2010

Kröner, C.

Rückfallprognosen in der forensischen Psychiatrie - Vergleich der prädiktiven Validitäten der Prognoseinstrumente ILRV, HCR-20, PCL-R und VRAG - Dissertation zum Erwerb des Doktorgrades der Medizin an der Medizinischen Fakultät der Ludwig-Maximilians-Universität zu München, 2005

Meier, B-D.

Kriminologie, 2. Auflage, München 2010

Nygaard, D.

Die prädiktive Validität des HCR 20/2, der PCL-R und der ILRV für die Vorhersage gewalttätiger krimineller Rückfälle. Eine Langzeituntersuchung von 185 Gutachtenprobanden. Dissertation zum Erwerb des Doktorgrades der Medizin an der Medizinischen Fakultät der Ludwig-Maximilians-Universität zu München, 2006

Passow, D.

Zur Qualität forensisch-psychiatrischer Sachverständigengutachten bei Sexualstraftätern mit angeordneter Sicherungsverwahrung Inauguraldissertation zur Erlangung des akademischen Grades Doktor der Medizin der Medizinischen Fakultät der Universität Rostock, 2009

Randermann, D.

Prognose, Begutachtung und Legalbewährung – ein Vergleich von Sexualstraftätern und anderen Gewaltstraftätern, Hamburg 2008 Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors der Medizin der medizinischen Fakultät der Universität Hamburg

Schneider, H.J.

Kriminologie, Walter de Gruyter, Berlin 1987

Schöch, H.

In: Internationales Handbuch der Kriminologie, Band 1, Grundlagen der Kriminologie (Herausgegeben von Hans Joachim Schneider)

Schwind, H-D.

Kriminologie, 21. Auflage, Heidelberg 2011

მ. ბალიაშვილი

პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2012

რ. გერიგი/ფ. ზიმბარდო,

ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009.

ე. გიდენსი

სოციოლოგია. თბილისი 2011.

ქ. ემბერი / მ. ემბერი / პ. პერეგრინი

ანთროპოლოგია. თბილისი 2009.

ლ. იზორია

თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009.

ქ. კალჭუნი / დ. ლაითი / ს. კელერი

სოციოლოგია. თბილისი 2007.

ე. კოდუა და სხვ. (სარედ. ჯგუფი)

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი. თბილისი 2004.

გ. მიქანაძე

პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა. კორკელია, კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2012.

დ. მუზაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: ნასამართლობა ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012.

ც. სამსონიძე და სხვ.

სასამართლო ფსიქიატრია. თბილისი 2006.

მ. შალიკაშვილი

ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი 2011.

მ. შალიკაშვილი

კრიმინოლოგია. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი 2011.

მ. შალიკაშვილი

ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012.

კ. ჭიჭინაძე

აგრესია. აგრესიის ეთოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური გამოვლინებები და მექანიზმები. თბილისი 2010.

დანართი:

განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების რეციდივის რისკის შეფასების კრიტერიუმები

ჩრდილო-დასავლეთისა და ცენტრალური შვეიცარიის სასჯელსრულლებითი კონკორდატის პროფესიული კომისიის სამუშაო ინსტრუმენტი

პროფ. დოქ. დიტმანი, ფორენზული ფსიქიატრიის ნამყვანი ექიმი, 1999 წლის დეკემბერი

1. ადამიანური ქცევის ზუსტი განსაზღვრა აქამდე არსებული მეთოდებით შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ შემდგომში კონკრეტული დამნაშავეს მიერ მნიშვნელოვანი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ალბათობის შეფასება.
2. შეფასების კრიტერიუმების სია ემყარება არასრულ პროგნოზირებულ ნიშნებს, რომლებიც პროფესიულ ლიტერატურაში (იხ. დანართი 3) და აქამდე არსებულ პრაქტიკაში გამოყენებული და დამტკიცებულია.
3. აუცილებელია, მიღწეულ იქნეს ინდივიდუალური პროგნოზი, რომელიც ამავე დროს დელიქტსა და პიროვნებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ყველა კრიტერიუმის ყველა შემთხვევაში გამოყენება არ არის საჭირო და მიზანშეწონილი.
4. პროგნოზი უნდა გაკეთდეს მრავალ სხვადასხვა ინფორმაციულ წყაროზე დაყრდნობით. აუცილებელია ნასამართლობისა და ძალაში შესული განაჩენის, ასევე ყველა ფსიქიატრიული დასკვნის და სასჯელის მოხდის, თერაპიის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ცოდნა.
5. ობიექტურ წყაროებს უპირატესობა აქვს სუბიექტური, არადამტკიცებული წარმოდგენებისა და აზრების მიმართ.
6. ყოველი პროგნოზი მოქმედებს შეზღუდული, განსაზღვრული დროითი მონაკვეთის ფარგლებში და ზუსტად განსაზღვრული სასჯელის მოხდისა ან შემსუბუქების პირობებში.
7. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან სტატიკური (შეუცვლელი) და დინამიკური ფაქტორები. პირველი მათგანი, ძირითადად, წინარე ისტორიიდან წარმოდგება. სტატიკური ფაქტორების ხარისხის არსებობა განსაზღვრავს, შესაძლებელია თუ არა ქმედების მოდიფიკაცია. დინამიკური ფაქტორები კი თერაპიისა და სხვა ღონისძიებების ფარგლებში გარკვეულწილად იცვლება.
8. კრიტერიუმების სია გაგებულ უნდა იქნეს, როგორც სამუშაო ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია შემთხვევის სისტემატური ანალიზი. თითოეული ნიშანდობლივი ჯგუფის მიმართ დასახელებულია ხელსაყრელი და არახელსაყრელი ფაქტორები. პოზიტიური და ნეგატიური ქულების წმინდა მათემატიკური გამოთვლა არამეცნიერული და ამავე დროს შეუძლებელია. აუცილებელია ზოგადი წარმოდგენის შექმნა, რადგან მაგ. მთლიანობაში ხელსაყრელი ნიშნების არსებობის მიუხედავად, მცირემნიშვნელოვანმა არახელსაყრელმა ერთმა ფაქტორმა ან ასეთი ფაქტორების ჯგუფმა შესაძლებელია, რეციდივის რისკის არსებობა განსაზღვროს.
9. ყოველი კრიტერიუმის შესახებ დისკუსია და მათი შეფასება სპეციალისტთა ინტერდისციპლინირებულად დაკომპლექტებულ ჯგუფში, პროგნოზის სანდოობის ხარისხს ზრდის. ამავე დროს, მათ საშიში დამნაშავეების მიმართ პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეთ.
10. მთლიანი ინდივიდუალური რისკი მოსალოდნელი დანაშაულების და რეციდივის ალბათობის სახის და რაოდენობის პროდუქტია.

| 1. ქმედების ანალიზი | |
|---|--|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| ცალკეული აქტის დელიქტი ძალადობის ზედმეტი გამოყენების გარეშე მსხვერპლისა და დამნაშავის სპეციფიკური ურთიერთობა თანამსრულებლობა ჯგუფის ზენოლის პირობებში | განსაკუთრებით სასტიკი დანაშაული ძალადობის გადამეტებული გამოყენებით (overkill) დელიქტების სერია მსხვერპლის შემთხვევითი შერჩევა რეციდივის მაღალი სტატისტიკური ალბათობის მქონე დელიქტი |
| 2. კრიმინალოგობის აქამდე არსებული განვითარება | |
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| დამნაშავეობა, როგორც ცხოვრების რაღაც ეტაპზე ცვლილებების, ბედით განპირობებული კონფლიქტის ან განსაკუთრებული, აქტუალური სიტუაციის გამომხატულება | დამნაშავეობა, როგორც ბიოგრაფიაში გამჯდარი ქცევა, კრიმინალობის დაწყება ბავშვობაში ან ახალგაზრდობაში, დისოციალური წრეებიდან წარმომავლობა მანამდე არსებული ძალადობრივი დელიქტები, განსაკუთრებით სასტიკი ქმედებები ძალადობის გადამეტებული გამოყენებით (overkill) მანამდე არსებული დელიქტების სერია შემამსუბუქებელი ღონისძიებების სანაცვლოდ აღებული ვალდებულებების არშესრულება |

| 3. პიროვნება, არსებული ფსიქიკური აშლილობები | |
|--|--|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| ხანმოკლე, გარდამავალი ფსიქიკური აშლილობა, მაგ. რაიმე ცხოვრებისეულ სიტუაციაზე რეაქცია, აგრეთვე ერთჯერადი ფსიქოტური ეპიზოდი, სიმპტომების სწრაფი ვარდნა | კრიმინალობის ხანგრძლივი ან ქრონიკული სიმპტომები, განგრძობადი სიგიჟე პირებისკენ მიმართული, აზროვნების განგრძობადი აშლილობა, განგრძობადი აფექტური და მოტივაციური აშლილობა |
| ფსიქოტროპული ნივთიერებების ხანმოკლე გარდამავალი გავლენა მისდამი დამოკიდებულების გარეშე | ნარკოტიკული ნივთიერებების რეგულარული გამოყენება ან ფსიქოტროპული ნივთიერებებზე დამოკიდებულების მაღალი პოტენციალი კრიმინალურ ქმედებასთან კავშირში |
| პიროვნების არასაყურადღებო, არათვალმისაცემი განვითარება | დელიქტის ხელშემწყობი აზრები და განწყობა ბავშვობიდან ან ახალგაზრდობიდან არსებული დარჩენილი პიროვნულობისა და ქცევის აშლილობა, მრავალი დისოციაციური ნიშანი, როგორცაა კავშირის დამყარების შეუძლებლობა, უგრძნობლობა, ემპათიის უქონლობა (დისოციაციურობისა და psychopathy-ს კრიტერიუმები, იხ. დანართი 1) |
| არათვალმისაცემი ტესტფსიქოლოგია | სექსუალური ქცევის ქრონიკული ანომალია, როგორცაა ფიქსირებული პარაფილია, განსაკუთრებით პროგრესირებული მიმდინარეობა (სპეც. სექსობრივი დამნაშავეების კრიტერიუმები იხ. დანართი 2) |

| 4. დაავადების ან ფსიქიური აშლილობისადმი დამნაშავეს დამოკიდებულება | |
|--|--|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| დამნაშავე აცნობიერებს და ეთანხმება თავისი ქცევის დაავადებულობას, აშლილობასა და ანომალიას | დამნაშავე უარყოფს, რომ ფსიქიკურად ავადაა, შეშლილია და მისი ქმედება ნორმასთან შეუსაბამოა |
| საკუთარი თავის ღია წარმოჩინება, დახასიათება | ცდილობს, თავი დაიცვას, თავისი ქმედება გააუფასუროს და მოიტყუოს |
| 5. სოციალური კომპეტენცია | |
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| კარგი სოციალური უნარები ყველა სფეროში, სტაბილური სამუშაო ურთიერთობები | პროფესიული და სოციალური უნარების მნიშვნელოვანი დაზიანება, უმეტესად არასტაბილური სამუშაო ურთიერთობები |
| აინტერესებს და ჩართულია აქტივობების ფართო სფეროში | სოციალური რეალურობის დარღვეული აღქმა, არარეალური მოლოდინები |
| ზოგადად ცხოვრებით კმაყოფილი | ცვალებადი სიტუაციებში ადაპტირების უუნარობა |
| თანაგრძნობისა და ტოლერანტობის განცდა | კომუნიკაციის დარღვეული უნარი |
| ფუნქციონირებადი ოჯახური და პარტნიორული ურთიერთობები | სოციალურად დეზინტეგრირებული |
| სტაბილური მეგობრები | სტაბილური პარტნიორული ურთიერთობის აქამდე არქონა |
| | ამტანობის მცირე უნარი |
| | კრიმინოგენული ცხოვრების სტილი (სამუშაო, მეგობრების წრე, ურთიერთობები), კრიმინალური იდენტურობა |

| 6. სპეციფიკური კონფლიქტური ქცევა | |
|--|---|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| ქმედება განვითარდა აქამდე არსებული ერთჯერადი სპეციფიკური კონფლიქტური სიტუაციიდან. წინარე ისტორიიდან ჩანს, რომ დამნაშავეს სიტუაციაში ხვდება, მას ინვესს და სტერეოტიპულად კრიმინალური ქცევით რეაგირებს | წინარე ისტორიიდან ჩანს, რომ დამნაშავე კვლავ მსგავს კონფლიქტურ სიტუაციაში ხვდება, მას ინვესს და სტერეოტიპულად კრიმინალური ქცევით რეაგირებს |
| სხვა კონფლიქტურ სიტუაციებში კარგი ამტანობა | ფრუსტრაციული სიტუაციის მიმართ ნაკლები ამტანობა, იმპულსურობა |
| 7. ქმედების კრიტიკული ანალიზის უნარი | |
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| დამნაშავე მზად არის, ქმედება კრიტიკულად და ინტენსიურად გააანალიზოს, განსაკუთრებით მოტივის და ეთნიკური ნორმების დარღვევის მიმართულებით. მზად არის, მოინანიოს და წუხს დანაშაულის ჩადენას | სამართლებრივად დადგენილი ფაქტის - ამსრულებლობის უარყოფა ან ქმედების გაუფასურება, დანაშაულის მოუნანიებლობა |
| მსხვერპლის მდგომარეობის აღქმა, ზიანის ანაზღაურების მცდელობა, თუ სახეზე არ არის ტაქტიკური სვლა | საკუთარი სოციალურად არაადეკვატური ქმედების გადაბრალება მსხვერპლის ან მესამე პირისთვის; "საზოგადოება", "გარემოებები" |
| 8. თერაპიის ზოგადი შესაძლებლობები | |
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| დამნაშავეს ფსიქიკური აშლილობისთვის არსებობს მკურნალობის კარგად მოქმედი მეთოდი | ამჟამინდელი მდგომარეობით ფსიქიატრიული, სოციოპათიური თუ პედაგოგიური პროცესების საშუალებით დამნაშავეს ფსიქიკური აშლილობა რთულად ან საერთოდ ვერ იკურნება |

| 9. თერაპიის რეალური შესაძლებლობები | |
|---|---|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| არსებობს დანესებულება, რომელიც ფლობს მკურნალობისთვის საჭირო თერაპიულ კონცეფციას და შესაბამის ჩარჩოებს (მაგ. უსაფრთხოება) და მზად არის, მიიღოს დამნაშავე | დანესებულება, სადაც დამნაშავის მკურნალობა იქნებოდა შესაძლებელი, საჭირო თერაპიისთვის აუცილებელი სერვისის დეფიციტის ან უსაფრთხოების ღონისძიებების არარსებობის გამო ვერ იღებს მას. |
| 10. თერაპიისთვის მზადყოფნა | |
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| ღია და კარგი, სანდო დამოკიდებულება თერაპევტებისა და მკურნალობასთან დაკავშირებული სხვა პირების მიმართ | არ არსებობს მზადყოფნა, საკუთარ ფსიქიკურ აშლილობასთან სერიოზულად მიდგომისთვის. |
| დამნაშავე აქტიურად ცდილობს, თერაპია ჩაიტაროს. იგი თანამშრომლობისთვის და შესაძლო ნეგატიური მოვლენებისთვის მზად არის | დამნაშავე უარყოფს ყოველგვარ თერაპიას, მაგ. მედიკამენტურ მკურნალობას, თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფება, თავს აჩვენებს თერაპიისადმი მზადყოფნის ადამიანად, რათა ამით რაიმე სარგებელი მიიღოს. |

| 11. სასჯელის შემსუბუქების, საპატიმრო შვებულების ან გათავისუფლების შემთხვევაში დამნაშავის მიმღები სოციალური წრე | |
|--|---|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| ოჯახში, პარტნიორულ ურთიერთობებში ჩართულობა, მყარი სანდო კონტაქტები დამნაშავე პერსონალთან (აღმასრულებელი, დაცვის პერსონალი, მეურვე) | სოციალური კონტაქტებისა და კავშირების ნაკლებობა, არამყარი პარტნიორული ურთიერთობები. |
| მყარი შემოსავალი, საცხოვრებელი ადგილი etc | არაკონკრეტული, არარეალური გეგმები. |
| კონტროლის კარგი შესაძლებლობა | საცხოვრებელი სახლის, სამუშაო ადგილის, ფინანსური სახსრების არარსებობა. |
| მსხვერპლთან ურთიერთობის გართულება სპეციალური განსაკუთრებული პირობების გამო | კონტროლის ნაკლები შესაძლებლობა. |
| მხარდაჭერის მიღება | მსხვერპლთან ადვილი კონტაქტი. |
| თანაზომიერი მოლოდინით მომავლის რეალური დაგეგმვა | მხარდაჭერის უარყოფა, თანამშრომლობისთვის მზადარყოფნა. კრიმინოგენულ წრეებში დაბრუნება (მაგ. კონფლიქტური ურთიერთობები, ნარკოტიკები, პროსტიტუცია etc.), დაუგეგმავი ქცევა თავისუფალ დროს. ხანგრძლივი მეთვალყურეობის დეფიციტი |

| 12.ქმედების შემდგომი განვითარება | |
|---|--|
| ხელსაყრელი | არახელსაყრელი |
| არაკრიმინალურობა, მიუხედავად იმისა, რომ გარეგანი პირობების მიხედვით, დამნაშავეობა იყო მოსალოდნელი | მსგავსი, განმეორებით ჩადენილი ან უფრო მძიმე დანაშაულები. |
| დელიქტის ხელშემწყობი ფსიქიატრიული სიმპტომების წინააღმდეგ მკურნალობის გაუმჯობესება | კრიმინოგენული აშლილობის, ქცევითი დისპოზიციის და პიროვნულობის სტრუქტურის ძირეული ცვლა არ არის შესამჩნევი. |
| პიროვნულობის მომნიშვნელობა და გაძლიერება | ხშირი კონფლიქტები. |
| ფრუსტრაციისადმი გამძლეობის გაზრდა და ამტანობა | გადაჭარბებული ადაპტაცია დანესებულებაში |
| ადაპტაციის კარგი უნარი და საკმარისი სოციალური კონტაქტები დანესებულებაში (და არა ფორმალური, მოჩვენებითი ადაპტაცია დელიქტის სპეციფიკურობის სხვა სფეროში, მაგ. სქესობრივი დანაშაულები) | ხანგრძლივი ინსტიტუციონალიზაციის (სასჯელალსრულებით დანესებულებაში ხანგრძლივი ყოფნით) შედეგად გამოწვეული დამატებითი ზარალი |
| კონფლიქტისა და პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შესწავლა | ნარუმატებლობა თერაპიაში, კურსის ხშირი შეწყვეტა |
| კონტროლის მექანიზმების განვითარება | თავის არიდება, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება |
| სასჯელალსრულებითი დანესებულებიდან ნარმატებული ხანმოკლე გასვლა (საპატიმრო შევებულება), სასჯელის შემსუბუქება ან მოვალეობის შესრულება, თუ შესაძლებელია, შეფასება | |

საბოლოო შეფასება (შესაბამისი გრაფა, გთხოვთ, შემოხაზოთ)

| ძალიან ხელსაყრელი | ხელსაყრელი | ნეიტრალური | არა-ხელსაყრელი | ძალიან არახელსაყრელი |
|-------------------|------------|------------|----------------|----------------------|
|-------------------|------------|------------|----------------|----------------------|